ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროგრამის დასახელება: ტანსაცმლის დიზაინი 1 / Clothing Design 1

პროფესიული განათლების საფეხური: IV

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების IV საფეხურის სპეციალისტი / Clothing artistic design Specialist stage IV

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: ლევან სილაგაძე, მხატვარი, თსუ ასოცირებული პროფესორი (იხ. დანართი - cv)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ტანსაცმლის დიზაინი1 წარმოადგენს ორსაფეხურიანი (IV და V) პროგრამის პირველ ნაწილს. სწავლება მოიცავს სამ სემესტრს და **ECTS**-ის 90 კრედიტს. სწავლების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა, შეესაბამება დამტკიცებული სტანდარტის პროცენტული თანაფარდობას . დიზაინის სწავლება ბუნებრივად არის ორიენტირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების და ოსტატობის გამომუშავებასთან; პროგრამის პირველ ეტაპზე თეორიული საგნების წილად მოდის 15 კრედიტი (ხელოვნებათმცოდნეობის შესავალი, ინგლისური1,2) დანარჩენი 75 კრედიტი ეთმობა ტანსაცმლის დიზაინის, კონსტრუირების, ტექნოლგიის და სახვითი ხელოვნების საფუძვლების შემსწავლელ პრაქტიკულ დისციპლინებს.

პროგრამაზე მიღების წინაპირობა: პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტების ჩაბარების საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
პროგრამა მიზნად ისახვს სტუდენტს შედარებით მოკლე დროში მისცეს ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და ტექნიკური უნარ-ჩვევები, რომელიც მას რეალურად გამოადგება ტანსაცმლის დიზაინის სფეროში წარმატებული მუშაობისთვის. პროგრამა თანამედროვე დასაქმების ბაზრის ტანსაცმლის დიზაინის სფეროს სპეციალისტებზე მოთხოვნებს ემყარება. დარგის სპეციფიკა ამ ამოცანებს პრაქტიკულ-ტექნოლოგიური გამოცდილების და მხატვრული აზროვნების, ხედვის განვითარების სინთეზს უკავშირებს. პროგრამის შემუშავებაში უშუალო და აქტიურ მონაწილეობას იღებენ დარგის სპეციალისტები, პედაგოგები, რომლებიც ამავე დროს ეწევიან პრაქტიკულ საქმიანობას და კარგად იცნობენ სპეციალობის ნიუანსებს და პოტენციურ დასაქმებულთათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების კომპლექტს. ამდენად, პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, სტუდენტს შეუძლია ითანამშრომლოს სამოდელო სახლებთან, სამკერვალო ატელიეებთან, შეეძლებათ ინდივიდუალური პროექტების განხორციელება მოდის ინდუსტრიაში.
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების მიმართულებას გააჩნია სწორედ ამგვარი სასწავლო და შემოქმედებითი გამოცდილება, აუცილებელი აღჭურვილობა, რომელიც საბაკალავრო პროგრამის ძირითადად სახვითი ხელოვნების სფეროზე ორიენტირების შედეგად, 2008 წლიდან მოქმედი პროფესიული პროგრამისთვის არის განსაზღვრული.

წარმოდგენილი პროგრამა სწორედ მოქმედის მოდიფიცირებულ ვარიანტს წარმოადგენს, მის სტრუქტურაში შეტანილია ისეთი ცვლილებები, რომელიც პროფესიული სწავლების თანამედროვე სტანდარტს ითვალისწინებს. კერძოდ - უმეტესწილად საბაკალვრო პროგრამასთან თავსებად პროგრამაში შევიდა ისეთი საგნები, როგორიც არის კონსტრუირება და ტექნოლოგია; სწორედ სწავლების ამ მხარეზე იქნება მნიშვნელოვანი აქცენტი, რადგან პროგრამა მიზნად ისახავს დარგის ისეთი სპეციალისტის ჩამოყალიბებას, რომელიც მაქსიმალუად იქნება მომზადებული პრაქტიკული და კონკრეტული სამუშაოსათვის.
ამავე დროს პროგრამა ითვალისწინებს განათლების და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობის აუცილებლობას - ორსაფეხურიანი პროგრამის ეს ნაწილი ლოგიკურად გრძელდება V საფეხურის სახით, სადაც სწავლების ამოცანები გართულებულია, მიზანი - მაღალი დონის სპეციალისტის ცამოყალიბება.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	1. აქვს სახვითი ხელოვნების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების და დიზაინის დარგების განვითარების ისტორიის ზოგადი, კოსტუმისა და სტილის ისტორიის ცოდნა. 2. დიზაინის დარგების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, ამოცანების და სტილისტიკის გარჩევა. 3. სტუდენტი იცნობს დაზგური მხატვრობისთვის საჭირო მრავალფეროვან მასალას, მისი სწორად გამოყენების თეორიული მეთოდიკის, აუცილებელ სამუშაო ინსტრუმენტებს და დამხმარე მოწყობილობებს და მასალებს. 4. მხატვრობის ტრადიციული მეთოდების ცოდნასთან ერთად აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა სახვითი და დიზაინერული აზროვნების სფეროში კერძოდ კომპიუტერული პროგრამების, რომელიც ამ სფეროს ემსახურება. 5. ერკვევა ტანსაცმლის კონსტრუირების პრინციპებში, იცნობს სხვადასხვა სირთულის დეტალებს და ტანსაცმლის კონსტრუირების წესებს ქსოვილის ხასიათის გათვალისწინებით. ერკვევა თავისუფალი მეთოდით სპეციფიკური ქსოვილის შექმნის ტექნოლოგიაში. 6. შეძენილი აქვს სახვითი ხელოვნებისთვის ფუნდამენტური ცოდნა ფერის, ფორმის, ჩრდლისა და განათების, სივრცისა და სასურათე სიბრტყის ურთიერთდამოკიდებულების, მხატვრული იდეის და თემატიკის შემოქმედების საბოლოო პროდუქტთან დაკავშირების შესახებ. ერკვევა მოცულობითი ფორმების არქიტექტონიკაში. 7. ესმის და აცნობიერებს დიზაიში კომპოზიციური აზროვნების მნიშვნელობას; აქვს მხატვრული კომპოზიციის სტილისტური და მიზნობრივი დატვირთვის გათვალისწინებით გამოყენების, ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების ტექნიკური და მხატვრული ასპექტების ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დარგის სპეციფიკიდან გამომდიონარე პრაქტიკული უნარების გამომუშავება პროგრამისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს და საგნების უმრავლესობა ამ საქმეს ემსახურება. 1. აქვს ტანსაცმლის დიზაინის სფეროში ნიმუშების ესკიზებზე სამუშაოდ საჭირო მასალების, ინსტრუმენტებისა და დამხმარე ინვენტარის პრაქტიკაში სწორად და ოპტიმალურად გამოყენების უნარ-ჩვევები. 2. სტუდენტი ფლობს აკადემიური ხატვის ტექნიკას და ხერხებს შეუძლია სტატიური მოდელის სწორი კონსტრუქციული გადმოტანა სასურათე სიბრტყეზე და მისი შემდგომი შუქ-ჩრდილული დამუშავება. 3. სტუდენტი ფლობს, აკვარელის, ტემპერისა და გუაშის ტექნიკას. მას შეუძლია ამ სახეობის საღებავების მრავალფეროვანი შესაძლებლობების გამოყენება ტანსაცმლის დიზაინში ესკიზების შესაქმნელად. 4. შეუძლია სხვა და სხვა სამხატვრო ტექნიკის სინთეზისა ან მათი სამუშაოს შესრულების ეტაპების მიხედვით მონაცვლეობის მეშვეობით შექმნას მხატვრული პროდუქცია. 5. ტანსაცმლის დიზაინის სფეროში სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური თემის არჩევისას შესაქმნელი კოსტიუმის სპეციფიკის ზედმიწევნით ცოდნის ბაზაზე შერეული ტექნიკის გამოყენებით შექმნას კოლექციის ესკიზური ვარიანტი. 6. საკოლექციო მოდელირების კომპოზიციის ესკიზების საფუძველზე კოსტუმის საბაზისო კონსტრუქციის აგება და მასალაში შესრულება. 7. შეუძლია ზედამხედველობა გაუწიოს ტანსაცმლის კონსტრუირების და მასალაში შესრულების პროცესში დაკავებულ დაბალი კვალიფიკაციის პირებს. 8. შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო ტექნოლოგიები დიზაინის სფეროში სამუშაოდ, როგორც ინფორმაციის მოძიების, ასევე დამუშავების თვალსაზრისით.

დასკვნის უნარი	1. დიზაინის სპეციფიკიდან გამომდინარე იდეის ჩამოყალიბების და სწორად გაანალიზების ეტაპი საბოლოო პროდუქციის შექმნის წარმატების აუცილებელი ბაზისია. ასეთი უნარის ჩამოყალიბება ხდება კომპლექსურად სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე და მიბმულია იდეის ხორცშესხმისათვის საჭირო პრაქტიკული უნარების განვითარებასა და თეორიული ცოდნის მიღებაზე. როგორც დამოუკიდებელი, მხატვრული ნაწარმოების, ასევე დიზინერული იდეაც დაკავშირებულია კომპოზიციურ აზროვნებასთან, რაც არა მხოლოდ საგნებისა და ფორმების სიბრტყობრივ და სივრცობრივ მანიპულირებას, არამედ ადამიანის აზროვნების, ქმედების და განწყობის შემოქმედებითად სინთეზირებას წარმოადგენს. 2. სწავლის და პრაქტიკული მუშაობის სტრატეგიისა და დროის ორგანიზება სწავლების პერიოდში ბუნებრივად შეძენილი უნარია, რადგან დიზაინის შესწავლა პროგრამის მიხედვით შედგება არაერთგვაროვანი მეთოდიკისგან (თეორიული ცოდნის მიღება, სახელოვნებო ტექნიკისა და უნარ-ჩვევების განვითარება, მხატვრულ-კომპოზიციური აზროვნება, ტექნოლოგია, კოსტრუირება) და ხარისხიანი მხატვრული პროდუქტის მიღებაც მხოლოდ სწორად გაწერილი ციკლების შესრულების შედეგად შეიძლება. ტანსაცმლის დიზაინისათვის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი, შემოქმედბითი იდეის დამკვეთისთვის მისაღები, წარმატებული მხატვრული ფორმის პროდუქციად გადაქცევის აუცილებლობაა.
კომუნიკაციის უნარი	იცნობს ტანსაცმლის დიზაინთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ტერმინოლოგიას, დარგთან დაკავშირებით შეუძლია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი კომუნიკაცია. შეუძლია ორიენტირება სპეციფიურ საინფორმაციო ტექნოლოგიებში, კომპიუტერული გრაფიკის ფუნდამენტური კურსის საფუძველზე შეუძლია დიზაინისთვის საჭირო ინვაციური ტექნოლოგიების ათვისება. შეუძლია ტანსაცმლის დიზაინთან დაკავშირებული ინფორმაცია დაამუშავოს ინგლისურად.
სწავლის უნარი	ტანსაცმლის დიზაინის პროგრამის პირველი საფეხურის გავლის შემდეგ შეუძლია ადეკვატურად განსაზღვროს პროფესიული და შემოქმედებითი ზრდის განსხვავებული ვარიანტები, აირჩიოს კონკრეტული მიმართულება.
ღირებულებები	გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა; შეუძლია კოლექტივში მუშაობა, პროფესიული ეთიკის დაცვა, ითვალისწინებს სამუშაოს დამკვეთის სურვილს, შეუძლია ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება, იცავს სამუშაო პროცესისთვის განსაზღვრულ უსაფრთხოების ნორმებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა იყენებს ლექციას, პრაქტიკულ მუშაობას, საშინაო დავალებას, შუალედურ შეფასებას, პრეზენტაციას, საბაკალავრო ნაშრომს, დასკვნით გამოცდას. სწავლების ფორმატში გამოყენებულია ვერბალური, წიგნზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დემონსტრირების (ნამუშევრის შესრულების სხვა და სხვა ეტაპზე პედაგოგი პრაქტიკულად აჩვენებს სტუდენტს შესრულების ტექნიკურ ხერხებს), პრაქტიკული მეთოდები.
ამავე დროს მოქმედებს სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის მეთოდი, რომელიც ზოგადად დიზაინის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია, ეს გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში - სემესტრულ ცხრილთან ერთად ქვეყნდება ინდივიდუალური კონსულტაციების ცხრილი.

შეფასების სისტემა:
შეფასების სისტემა ასქულიანია და მოქნილობით ოპტიმალურია დიზაინის სწავლებისთვის, რადგან სხვადასხვა პარამტრების შეჯამების და დიფერენცირების საშუალებას იძლევა. დისციპლინა შედგება სხვა და სხვა კომპონენტებისგან და ისევ და ისევ მხატვრობის ინდივიდუალისტური სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი ფლობის თანაფარდობა არ მოითხოვს ზედმიწევნით შტამპირებას. პრაქტიკულ სეგმენში პრიორიტეტული აქცენტები კეთდება კომპოზიციურ ხედვაზე და აზროვნებაზე ზოგადად, ტექნიკისა და მასალის ფლობაზე.
შეფასების სისტემა ასქულიანია (საბოლოო გამოცდის ქულა არ აღემატება 40-ს)
შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. საბოლოო შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:
ა) შუალედურ შეფასებას (დამოუკიდებლად არის განსაზღვრული თითოეული საგნის სილაბუსში) ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
სწავლების ფორმატის მიხედვით ჯამური შეფასების ჩამოყალიბება ასპექტების შემდეგი პროცენტული თანაფარდობით წარმოებს:
ლექცია-პრაქტიკუმებზე დასწრება: 10%
პრეზენტაცია-სემინარების შეფასება: 50% (25%+25%)
საბოლოო გამოცდა: 40% (დაიშვება სტუდენტი, რომელმაც დააგროვა მინიმუმ 11 ქულა)
მინიმალური დამაკმაყოფილებელი შეფასება არის 51.

პროგრამაში მონაწილე ლექტორები:
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლევან სილაგაძე (მხატვარი, ფერმწერი,გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი) ასოცირებული პროფესორი მაია ციციშვილი (ხელოვნებათმცოდნე), ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე (ფილოსოფოსი), ასისტენტ პროფესორი ვლადიმერ ასათიანი (მხატვარი, ფერმწერი,გრაფიკოსი) , მოწვეული პედაგოგები - ლელა გელეიშვილი (მხატვარი, ფერმწერი,გრაფიკოსი), მარინა დიღმელაშვილი (ტანსაცმლის მხატვრული მოდელირების მხატვარ-ტექნოლოგი), მაკა ახობაძე (ტანსაცმლის მხატვარ მოდელიორი) მედეა ბოჭორიშვილი (სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგი საკვალიფკაციო კურსების გავლის შემდეგ------ კონსტრუქტორ - მოდელიორი) ევგენია თვაური (ხატვარ-ტექნოლოგი), რომლებიც ამჟამად უძღვებიან სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის და მოქმედი პროფესიული პროგრამების საგნებს.

სწავლისათვის დამხამარე პირობები (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა)
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სპეციალიზირებული სტუდია-ლაბორატორიების და საინფორმაციო ტექნოლოგიური ცენტრის სახით პროგრამის სტრუქტურისა და სწავლების პრაქტიკული ხასიათის გამო აუცილებელია. პროგრამა დარგობრივი კუთხით სწორედ ისეთნაირად არის შემუშავებული, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული არსებული დანადგარები, ტექნიკა, დამხმარე ინვენტარი და აღჭურვილობა, მასში არ არის მინიშნება დიზაინის იმ დარგებზე, რისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნივერსიტეტს არ გააჩნია.

1. სახვითი სელოვნების სტუდია-ლაბორატორია (საერთო ფართი 350 მ2, გააჩნია მხატვრობისთვის ოპტიმალური ბუნებრივი განათების წყარო და მაღალი ჭერი) აღჭურვილია დაზგური ფერწერის და გრაფიკისთვის აუცილებელი ინვენტარით მოლბერტები (15), დაფები (40), ტუმბოები (100), სადგარები (50), თაბაშირის მარტივი და რთული მოდელები (35), ოფორტის დაზგა.
2. ტანსაცმლის დიზაინის სტუდია- ლაბორატორია აღჭურვილია საჭირო მანქანა-დანადგარებით: სამკერვალო საწარმოო დანიშნულების "ა" კლასის მანქანა (6 ერთეული) ოვერლოკის სპეც. მანქანა, ტრიკოტაჟის საქსოვი დაზგა, საკერავი მანქანა "ვერიტას", საგამომჭრელო მაგიდები შესატყვისი ინვენტარით.

დასაქმების სფეროები: სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს ექნება საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული ჩვევები ტანსაცმლის დიზაინის სფეროში როგორც ინდივიდუალურად მუშაობისათვის, ასევე სამოდელო სახლებთან და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებთან თანამშრომლობისათვის.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

დამატებითი ინფორმაცია: პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულია დარგის სპეციალისტებთან და პრაქტიკოსებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მონაწილეობის მექანიზმი. იხ. დანართი №

სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდება	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება				სულ საათების რაოდენობა
		ლექცია/პრაქტიკული	შუალედური და საბოლოო შეფასების საათები		კურსის სტატუსი	
მხატვრული კომპოზიციის საფუძვლები	5	15/45	10	55	სავალდებულო	125
სახვითი ხელოვნების საფუძვლები(ხატვა)	5	15/45	10	55	სავალდებულო	125
სახვითი ხელოვნების საფუძვლები(ფერწერა)	5	15/45	10	55	სავალდებულო	125
ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები	5	45/15	8	57	სავალდებულო	125
ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება	5	15/45	10	55	სავალდებულო	250
ტანსაცმლის თემატური კომპოზიცია	10	30/90	10	120	სავალდებულო	250
კომპიუტერული გრაფიკა1	5	60	10	55	სავალდებულო	125
ტანსაცმლის კონსტრუირება I ეტაპი	5	60	10	55	სავალდებულო	125
ტანსაცმლის კონსტრუირება II ეტაპი	10	30/90	10	120	სავალდებულო	250
ტექნოლოგია I ეტაპი	5	60	10	55	სავალდებულო	125
კომპიუტერული გრაფიკა2	5	60	10	55	სავალდებულო	125
აკადემიური ხატვა 1	5	45/15	10	55	სავალდებულო	125
აკადემიური ფერწერა 1	5	60	10	55	სავალდებულო	125
ხელოვნებათმცოდნეობის შესავალი	5	45	10	65	სავალდებულო	125
ინგლისური ენა 1	5	60	10	55	სავალდებულო	125
ინგლისური ენა 2	5	60	10	55	სავალდებულო	125
სულ:	90					

სასწავლო კურსები/მოდულები																			
	1.1	**1.2**	**1.3**	**1.4**	**1.5**	**1.6**	**1.7**	**2.1**	**2.2**	**2.3**	**2.4**	**2.5**	**2.6**	**2.7**	**3.1**	**3.2**	**4.1**	**5.1**	**6.1**
მხატვრული კომპოზიციის საფუძვლები	+		+			+			+	+	+					+		+	+
სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა)	+		+	+					+	+	+					+		+	+
სახვითი ხელოვნების საფუძვლები(ფერწერა)	+		+	+		+			+	+	+					+		+	+
ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები		+	+		+		+											+	+
ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება		+	+		+		+	+				+	+	+	+		+	+	+
ტანსაცმლის თემატური კომპოზიცია								+				+	+	+	+		+	+	+
კომპიუტერული დიზაინი1	+	+				+							+	+	+		+	+	+
ტანსაცმლის კონსტრუირება I ეტაპი		+	+		+		+	+				+	+	+	+			+	+
ტანსაცმლის კონსტრუირება II ეტაპი		+	+		+		+	+				+	+	+	+			+	+
ტანსაცმლის ტექნოლოგია I ეტაპი		+	+		+		+	+				+	+	+	+			+	+
კომპიუტერული დიზაინი2	+	+				+							+	+			+	+	+
აკადემიური ხატვა 1	+		+	+		+			+	+	+					+		+	+
აკადემიური ფერწერა 1	+		+	+		+			+	+	+					+		+	+
ხელოვნებათმცოდნეობის შესავალი	+	+														+	+	+	+
ინგლისური ენა 1																	+	+	+
ინგლისური ენა 2																	+	+	+

პროფესიული პროგრამა: **ტანსაცმლის დიზაინი**
საფეხური: IV

სტრუქტურა

№	სასწავლო კურსების/მოდულების/ პრაქტიკის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი	საკონტაქტო/ დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება		
					სემესტრები		
					I	II	III
1	მხატვრული კომპოზიციის საფუძვლები	სავალდებულო	60/65	5	5		
2	სახვითი ხელოვნების საფუძვლები (ხატვა)	სავალდებულო	60/65	5	5		
3	სახვითი ხელოვნების საფუძვლები(ფერწერა)	სავალდებულო	60/65	5	5		
4	ტანსაცმლის მოდელირების საფუძვლები	სავალდებულო	60/65	5	5		
5	ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება	სავალდებულო	60/65	5		5	
6	ტანსაცმლის თემატური კომპოზიცია	სავალდებულო	120/130	10			10
7	კომპიუტერული დიზაინი1	სავალდებულო	45/80	5		5	
8	ტანსაცმლის კონსტრუირება I ეტაპი	სავალდებულო	60/65	5		5	
9	ტანსაცმლის კონსტრუირება II ეტაპი	სავალდებულო	120/130	10			10
10	ტანსაცმლისტექნოლოგია I ეტაპი	სავალდებულო	60/65	5		5	
11	კომპიუტერული დიზაინი2	სავალდებულო	45/80	5			5
12	აკადემიური ხატვა 1	სავალდებულო	60/65	5		5	
13	აკადემიური ფერწერა 1	სავალდებულო	60/65	5			5
14	ხელოვნებათმცოდნეობის შესავალი	სავალდებულო	45/80	5	5		
15	ინგლისური ენა 1	სავალდებულო	60/65	5	5		
16	ინგლისური ენა 2	სავალდებულო	60/65	5		5	
	სულ			**90**			

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____

ფაკულტეტის ბეჭედი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროგრამის დასახელება: ტანსაცმლის დიზაინი 2 / Clothing Design 2

პროფესიული განათლების საფეხური: V

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების V საფეხურის სპეციალისტი / Clothing artistic design Specialist stage V

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: ლევან სილაგაძე, მხატვარი, თსუ ასოცირებული პროფესორი (იხ. დანართი - cv)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ტანსაცმლის დიზაინი 2 წარმოადგენს ორსაფეხურიანი (IV და V) პროგრამის მეორე ნაწილს. სწავლება მოიცავს სამ სემესტრს და **ECTS**-ის 90 კრედიტს. სწავლების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა, შეესაბამება დამტკიცებული სტანდარტის პროცენტული თანაფარდობას . დიზაინის სწავლება ბუნებრივად არის ორიენტირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების და ოსტატობის გამომუშავებასთან; პროგრამის მეორე ეტაპზე სავალდებულო საგნების 80 კრედიტიდან 70 პრაქტიკული ხასიათისაა, 10 კრედიტი თეორიული, არჩევითი საგნების 30 კრედიტიდან თეორიულია 10 კრედიტის მოცულობის 2 საგანი (სტუდენტმა უნდა აირჩიოს 1) ამდენად ძალაში რჩება შეფარდება 15/75.

პროგრამაზე მიღების წინაპირობა: ამ საფეხურზე ჩარიცხვა ხორციელდება შესაბამისი სპეციალობის IV საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის, ან მომიჯნავე სპეციალობის საფუძველზე IV საფეხურის კომპეტენციების აღიარებით შიდა ტურის საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მეორე საფეხური მიზნად ისახავს სრულყოს ტანსაცმლის დიზაინის სფეროში სტუდენტის ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და ტექნიკური უნარ-ჩვევები. პროგრამის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში სტუდენტს ექნება მრავალმხრივი ცოდნა, რაც თანამედროვე დასაქმების ბაზარზე სწორი ორიენტირების და წარმატებული შემოქმედებითი კარიერის შექმნის საშუალებას მისცემს.

მეორე ეტაპზეც აქტუალური რჩება პრაქტიკულ-ტექნოლოგიური გამოცდილების და მხატვრული აზროვნების, ხედვის განვითარების სინთეზი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების მიმართულებას გააჩნია სწორედ ამგვარი სასწავლო და შემოქმედებითი გამოცდილება, აუცილებელი აღჭურვილობა, რომელიც საბაკალავრო პროგრამის ძირითადად სახვითი ხელოვნების სფეროზე ორიენტირების შედეგად, 2008 წლიდან მოქმედი პროფესიული პროგრამისთვის არის განსაზღვრული.

წარმოდგენილი პროგრამა სწორედ მოქმედის მოდიფიცირებულ ვარიანტის მეორე, გართულებულ ნაწილს წარმადგენას, მის სტრუქტურაში შეტანილია ისეთი საგნები, რომლებიც პირველი ნაწილის გაგრძელებაა ტანსაცმლის დიზაინის, ტექნოლოგიის, კონსტრუირების ვექტორით. ასევე გაღრმავდება ზოგადად სახვითი ხელოვნების სფეროში მიღებული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, დაიხვეწება ტექნიკა.

პროგრამა ითვალისწინებს განათლების და კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომ შესაძლებლობასაც, ამიტომ მისი სტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მხატვრული ხედვის და აზროვნების ჩამოყალიბების, ოსტატობის და ტექნიკური უნარ-ჩვევების სწავლების ტრადიცული, კლასიკური მეთოდების დაბალანსება თანამედროვე დიზაინერული შემოქმედებითი პრაქტიკის და ტექნოლოგიების ათვისებასთან. ეს პრინციპი მომავალ სპეციალისტს მისცემს პრაქტიკულ შედეგს მოიპოვოს რეალური სამუშაო ადგილი ტანსაცმლის დიზაინის სფეროში, როგორც ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების კვალიფიციურმა სპეციალისტმა, ამავე დროს მას ექნება მთლიანად დარგის ზოგადი, ფუნდამენტური ცოდნა კვალიფიკაციის ამაღლების და შემოქმედებითი დიაპაზონის შემდგომი გაფართოვებისათვის.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება	1. სახვითი ხელოვნების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების და დიზაინის დარგების განვითარების ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა. 2. ესთეტიკის საფუძვლების ცოდნა. 3. კარგად ერკვევა ტანსაცმლის დიზაინის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებში, ამოცანებში და სტილისტიკაში. 4. იცნობს ხატვისა დაფერწერისთვის საჭირო მრავალფეროვან მასალას, მისი სწორად გამოყენების თეორიულ მეთოდიკას, აუცილებელ სამუშაო ინსტრუმენტებს და დამხმარე მოწყობილობებს, მასალებს. 5. მხატვრობის ტრადიციული მეთოდების ცოდნასთან ერთად თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა სახვითი და დიზაინერული აზროვნების სფეროში კერძოდ კომპიუტერული პროგრამების, რომელიც ამ სფეროს ემსახურება. 6. სტუდენტს კარგად ესმის ზოგადად მხატვრობის და დიზაინის სპეციფიკა და ამ სფეროში შეფასების კრიტერიუმების არაერთგვაროვნება აცნობიერებს, რომ როგორც ხელოვნების ნიმუშის, ასევე მხატვრული და დიზაინერული იდეის და მისი კონკრეტული ამოცანის და გარემოსთვის მისადაგების შეფასებისას უნდა გაიმიჯნოს სტილისტური კანონიკა და შემოქმედების თავისუფლება. 7. შეძენილი აქვს სახვითი ხელოვნებისთვის ფუნდამენტური ცოდნა ფერის, ფორმის, ჩრდლისა და განათების, სივრცისა და სასურათე სიბრტყის ურთიერთდამოკიდებულების, მხატვრული იდეის და თემატიკის შემოქმედების საბოლოო პროდუქტთან 8. დაკავშირების შესახებ. 9. ესმის და აცნობიერებს დიზაიში კომპოზიციური აზროვნების მნიშვნელობას; აქვს მხატვრული კომპოზიციის სტილისტური და მიზნობრივი დატვირთვის გათვალისწინებით გამოყენების ცოდნა. 10. კარგად იცნობს სხვა დსხვა ტიპის ქსოვილის დამუშავების ტექნოლოგიურ მეთოდებს, ერკვევა ნებისმიერი სირთულის თარგის ტექნიკურ ნახაზებში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	1. პრაქტიკული უნარების გამომუშავება პროგრამისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს და საგნების უმრავლესობა ამ საქმეს ემსახურება. 2. აქვს ტანსაცმლის დიზაინის სფეროში ნიმუშების ესკიზებზე სამუშაოდ საჭირო მასალების, ინსტრუმენტებისა და დამხმარე ინვენტარის პრაქტიკაში სწორად და ოპტიმალურად გამოყენების უნარ-ჩვევები. 3. შეუძლია ინდივიდუალური პროექტის შემუშავება და მისი განხორციელება კონსტრუირების და მასალაში სესრულების ეტაპებზე. 4. ფლობს ხატვის ტექნიკის რთულ ხერხებს კომპოზიციური განაწილებიდან და კონსტრუქციული აგებიდან მოცულობითი დამუშავების ჩათვლით. 5. კარგად ფლობს, აკვარელის, ტემპერისა და გუაშის ტექნიკას. მას შეუძლია ამ სახეობის საღებავების მრავალფეროვანი შესაძლებლობების გამოყენება ტანსაცმლის დიზაინში ესკიზების შესაქმნელად. 6. შეუძლია სხვა და სხვა სამხატვრო ტექნიკის სინთეზისა ან მათი სამუშაოს შესრულების ეტაპების მიხედვით მონაცვლეობის მეშვეობით შექმნას მხატვრული პროდუქცია. 7. ტანსაცმლის დიზაინის სფეროში სტუდენტს შეუძლია შეიმუშავოს ნებისმიერი სირთულის კონსტრუქციული თარგი. 8. შესაქმნელი კოსტიუმის, კოლექციიას სპეციფიკის ზედმიწევნით ცოდნის ბაზაზე შერეული ტექნიკის გამოყენებით შექმნას კოლექციის ესკიზური ვარიანტი. 9. სხვა და სხვა ტიპის საავტორო კოლექციის შესრულება ტექნოლოგიური და ტექნიკური ნიუანსების გათვალისწინებით. 10. შეუძლია უხელმძღვანელოს და კოორდინაცია გაუწიოს დარგში მომუშავე პირთა ჯგუფს.
დასკვნის უნარი	1. შეუძლია განსაზღვროს დარგობრივი ამოცანა, გაანალიზოს და მის გადასაწყვეტად გამოიყენოს შესწავლილი დარგობრივი კომპეტენციები. 2. დიზაინის სპეციფიკიდან გამომდინარე იდეის ჩამოყალიბების და სწორად გაანალიზების ეტაპი საბოლოო პროდუქციის შექმნის წარმატების აუცილებელი ბაზისია. ასეთი უნარის ჩამოყალიბება ხდება კომპლექსურად სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე და მიზმულია იდეის ხორცშესხმისათვის საჭირო პრაქტიკული უნარების განვითარებასა და თეორიული ცოდნის მიღებაზე. როგორც დამოუკიდებელი, მხატვრული ნაწარმოების, ასევე დიზინერული იდეაც დაკავშირებულია კომპოზიციურ აზროვნებასთან, რაც არა მხოლოდ საგნებისა და ფორმების სიბრტყობრივ და სივრცობრივ მანიპულირებას, არამედ ადამიანის აზროვნების, ქმედების და განწყობის შემოქმედებითად სინთეზირებას წარმოადგენს. 3. სწავლის და პრაქტიკული მუშაობის სტრატეგიისა და დროის ორგანიზება სწავლების პერიოდში ბუნებრივად შეძენილი უნარია, რადგან დიზაინის შესწავლა პროგრამის მიხედვით შედგება არაერთგვაროვანი მეთოდიკისგან (თეორიული ცოდნის მიღება, სახელოვნებო ტექნიკისა და უნარ-ჩვევების განვითარება, მხატვრულ-კომპოზიციური აზროვნება, ტექნოლოგია, კოსტრუირება) და ხარისხიანი მხატვრული პროდუქტის მიღებაც მხოლოდ სწორად გაწერილი ციკლების შესრულების შედეგად შეიძლება. ტანსაცმლის დიზაინისათვის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი, შემოქმედბითი იდეის დამკვეთისთვის მისაღები, წარმატებული მხატვრული ფორმის პროდუქციად გადაქცევის აუცილებლობაა.

კომუნიკაციის უნარი	1. შეუძლია ტანსაცმლის დიზაინთან დაკავშირებული ინფორმაციისა და იდეების მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოცემა როგორც სპეციალისტებისთვის, ისე სხვა დაინტერესებულ პირთათვის. 2. შეუძლიათანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების, ტექოლოგიების ჯეროვნად გამოყენება. 3. პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება გადასცეს ინგლისურ ენაზე.
სწავლის უნარი	ტანსაცმლის დიზაინის პროფესიული პროგრამის სტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი აქცენტია სწავლის გაგრძელების და პრაქტიკული უნარების დახვეწის შემდგომი შესაძლებლობა; ეს არის ჩაკეტილი სისტემა - დამთავრების შემდგომ სტუდენტს ექნება შესაძლებლობა დასაქმდეს როგორც მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, აგრეთვე გააგრძელოს განათლება ბაკალავრიატში.
ღირებულებები	აქვს პროფესიული საქმიანობის მიმართ ადეკვატური დამოკიდებულება - შეუძლია საკუთარი და სხვების მუშაობის სწორად შეფასება, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ეთიკური, უსაფრთხოების ნორმების გაზიარება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა იყენებს ლექციას, პრაქტიკულ მუშაობას, საშინაო დავალებას, შუალედურ შეფასებას, პრეზენტაციას, საბაკალავრო ნაშრომს, დასკვნით გამოცდას. სწავლების ფორმატში გამოყენებულია ვერბალური, წიგნზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დემონსტრირების (ნამუშევრის შესრულების სხვა და სხვა ეტაპზე პედაგოგი პრაქტიკულად აჩვენებს სტუდენტს შესრულების ტექნიკურ ხერხებს), პრაქტიკული მეთოდები.

ამავე დროს მოქმედებს სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის მეთოდი, რომელიც ზოგადად დიზაინის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია, ეს გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში - სემესტრულ ცხრილთან ერთად ქვეყნდება ინდივიდუალური კონსულტაციების ცხრილი.

შეფასების სისტემა:

ასქულიანი სისტემა ოპტიმალურია დიზაინის სწავლებისთვის, რადგან სხვადასხვა პარამტრების შეჯამების და დიფერენცირების საშუალებას იძლევა. დისციპლინა შედგება სხვა და სხვა კომპონენტებისგან და მხატვრობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი ფლობის თანაფარდობა არ მოითხოვს ზედმიწევნით შტამპირებას. პრაქტიკულ სეგმენში პრიორიტეტული აქცენტები კეთდება კომპოზიციურ ხედვაზე და აზროვნებაზე ზოგადად, ტექნიკისა და მასალის ფლობაზე.

სწავლების ფორმატის მიხედვით ჯამური შეფასების ჩამოყალიბება ასპექტების შემდეგი პროცენტული თანაფარდობით წარმოებს:

ლექცია-პრაქტიკუმებზე დასწრება: 10%

პრეზენტაცია-სემინარების შეფასება: 40% (25%+25%)

საბოლოო გამოცდა: 40% (დაიშვება სტუდენტი, რომელმაც პრეზენტაციებზე

დააგროვა მინიმუმ 11 ქულა)

მინიმალური დამაკმაყოფილებელი შეფასება არის 51.

პროგრამაში მონაწილე ლექტორები:
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლევან სილაგაძე, ასოცირებული პროფესორი მაია ციციშვილი, ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე, ასისტენტ პროფესორი ვლადიმერ ასათიანი, მოწვეული პედაგოგები - ლელა გელეიშვილი, მარინა დიღმელაშვილი, მაკა ახობაძე, რომლებიც ამჟამად უძღვებიან სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის და მოქმედი პროფესიული პროგრამების საგნებს.

სწავლისათვის დამხამარე პირობები (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა)
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სპეციალიზირებული სტუდია-ლაბორატორიების და საინფორმაციო ტექნოლოგიური ცენტრის სახით პროგრამის სტრუქტურისა და სწავლების პრაქტიკული ხასიათის გამო აუცილებელია. პროგრამა დარგობრივი კუთხით სწორედ ისეთნაირად არის შემუშავებული, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული არსებული დანადგარები, ტექნიკა, დამხარე ინვენტარი და აღჭურვილობა, მასში არ არის მინიშნება დიზაინის იმ დარგებზე, რისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნივერსიტეტს არ გააჩნია.

1. სახვითი სელოვნების სტუდია-ლაბორატორია (საერთო ფართი 350 მ2, გააჩნია მხატვრობისთვის ოპტიმალური ბუნებრივი განათების წყარო და მაღალი ჭერი) აღჭურვილია დაზგური ფერწერის და გრაფიკისთვის აუცილებელი ინვენტარით
2. მოლბერტები (15), დაფები (40), ტუმბოები (100), სადგარები (50), თაბაშირის მარტივი და რთული მოდელები (35), ოფორტის დაზგა.
3. ტანსაცმლის დიზაინის სტუდია- ლაბორატორია აღჭურვილია საჭირო მანქანა-დანადგარებით: სამკერვალო საწარმოო დანიშნულების "ა" კლასის მანქანა (6 ერთეული) ოვერლოკის სპეც. მანქანა, ტრიკოტაჟის საქსოვი დაზგა, საკერავი მანქანა "ვერიტას", საგამომჭრელო მაგიდები შესატყვისი ინვენტარით.

დასაქმების სფეროები:
სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს ექნება საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და პრაქტიკული ჩვევები ტანსაცმლის დიზაინის სფეროში როგორც ინდივიდუალურად მუშაობისთვის, ასევე სამოდელო სახლებთან და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებთან თანამშრომლობისათვის.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდება	**კრედიტების რაოდენობა**	**საათების განაწილება**				**სულ საათების**
		ლექცია/პრაქტიკუმი	**შუალედური და საბოლოო შეფასების საათები**	**დამოუკიდ. დებული საათები**	**კურსის სტატუსი**	
აკადემიური ხატვა 2	5	15/45	10	55	სავალდებულო	125
აკადემიური ფერწერა 2	5	15/45	10	55	სავალდებულო	125
ფიგურატიული პლასტიკა (ხატვა)	10	30/90	10	120	სავალდებულო	250
ფიგურატიული პასტიკა (ფერწერა)	5	45/15	8	57	სავალდებულო	125
ტანსაცმლის კონსტრუირება III ეტაპი	10	60	10	180	სავალდებულო	250
ტექნოლოგია II ეტაპი	10	30/90	10	120	სავალდებულო	250
ტექნოლოგია III ეტაპი	10	30/90	10	120	სავალდებულო	250
საკოლექციო მოდელების დიზაინი	10	30/90	10	120	სავალდებულო	250
დეკორატიული ქსოვილის დიზაინის საფუძვლები	5	60	10	55	სავალდებულო	125
ესთეტიკა	5	60	10	55	სავალდებულო	125
კოსტუმის ისტორია	5	60	10	55	სავალდებულო	125
არჩევითი (პრაქტიკული) საგნები – 5 კრედიტი						
გრაფიკული კომპოზიცია	5	45/15	10	55	არჩევითი	125
ფერწერული კომპოზიცია	5	60	10	55	არჩევითი	125
დეკორატიული ქსოვილის კომპოზიცია	5	60	10	55	არჩევითი	125
მრავალფიგურიანი კომპოზიცია	5	60	10	55	არჩევითი	125
არჩევითი (თეორიული) საგნები – 5 კრედიტი						
ეთიკა	5	60	10	55	არჩევითი	125
ხელოვნების ფილოსოფია	5	60	10	55	არჩევითი	125
სულ:	90					

სასწავლო კურსები/მოდულები	**კომპეტენციების ჩამონათვალი**																						
	1.1	**1.2**	**1.3**	**1.4**	**1.5**	**1.6**	**1.7**	**1.8**	**2.1**	**2.2**	**2.3**	**2.4**	**2.5**	**2.6**	**2.7**	**2.8**	**2.9**	**3.1**	**3.2**	**3.3**	**4.1**	**5.1**	**6.1**
აკადემიური ხატვა 2			+	+	+						+	+	+				+					+	
აკადემიური ფერწერა 2			+	+		+					+	+										+	
ფიგურატიული პლასტიკა (ხატვა)				+	+	+					+	+	+									+	
ფიგურატიული პასტიკა (ფერწერა)			+		+	+					+	+	+									+	
ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება			+	+			+		+	+				+	+						+	+	
ტანსაცმლის ტექნოლოგია II ეტაპი							+	+						+	+	+	+		+	+		+	+
მოდელების მასალაში შესრულება							+	+						+	+	+	+			+		+	+
საკოლექციო შემოქმედებითი კომპოზიცია			+				+	+	+	+				+	+					+	+	+	
დეკორატიული ქსოვილის დიზაინის საფუძვლები			+					+								+	+		+			+	
ესთეტიკა		+																+				+	
კოსტუმის ისტორია	+																	+			+		
გრაფიკული კომპოზიცია			+	+							+	+	+					+					
ფერწერული კომპოზიცია				+	+	+					+	+	+					+				+	
დეკორატიული ქსოვილის კომპოზიცია								+							+	+							
ეთიკა		+																+			+		+
ხელოვნების ფილოსოფია	+	+																+			+	+	
მრავალფიგურიანი კომპოზიცია			+		+	+					+	+	+					+				+	

სასწავლო კურსები/მოდულები	**კომპეტენციების ჩამონათვალი**																						
	1.1	**1.2**	**1.3**	**1.4**	**1.5**	**1.6**	**1.7**	**1.8**	**2.1**	**2.2**	**2.3**	**2.4**	**2.5**	**2.6**	**2.7**	**2.8**	**2.9**	**3.1**	**3.2**	**3.3**	**4.1**	**5.1**	**6.1**
აკადემიური ხატვა 2			+	+	+						+	+	+				+					+	
აკადემიური ფერწერა 2			+	+		+					+	+										+	
ფიგურატიული პლასტიკა (ხატვა)				+	+	+					+	+	+									+	
ფიგურატიული პასტიკა (ფერწერა)			+		+	+					+	+	+									+	
ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება			+	+			+		+	+				+	+						+	+	
ტანსაცმლის ტექნოლოგია II ეტაპი							+	+						+	+	+	+		+	+		+	+
მოდელების მასალაში შესრულება							+	+						+	+	+	+			+		+	+
საკოლექციო შემოქმედებითი კომპოზიცია			+				+	+	+	+				+	+					+	+	+	
დეკორატიული ქსოვილის დიზაინის საფუძვლები			+					+								+	+		+			+	
ესთეტიკა		+																+				+	
კოსტუმის ისტორია	+																	+			+		
გრაფიკული კომპოზიცია			+	+							+	+	+					+					
ფერწერული კომპოზიცია				+	+	+					+	+	+					+				+	
დეკორატიული ქსოვილის კომპოზიცია								+							+	+							
ეთიკა		+																+			+		+
ხელოვნების ფილოსოფია	+	+																+			+	+	
მრავალფიგურიანი კომპოზიცია			+		+	+					+	+	+					+				+	

პროფესიული პროგრამა: **ტანსაცმლის დიზაინი**

საფეხური: V

პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსების/მოდულების/ პრაქტიკის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი	საკონტაქტო/ დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება		
					სემესტრები		
					I	II	III
1	აკადემიური ხატვა 2	სავალდებულო	60/65	5	5		
2	აკადემიური ფერწერა 2	სავალდებულო	60/65	5	5		
3	ფიგურატიული პლასტიკა (ხატვა)	სავალდებულო	120/130	10		10	
4	ფიგურატიული პასტიკა (ფერწერა)	სავალდებულო	60/65	5			5
5	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება	სავალდებულო	120/130	10	10		
6	ტანსაცმლის ტექნოლოგია II ეტაპი	სავალდებულო	120/130	10		10	
7	მოდელების მასალაში შესრულება	სავალდებულო	120/130	10			10
8	საკოლექციო შემოქმედებითი კომპოზიცია	სავალდებულო	120/130	10			10
9	დეკორატიული ქსოვილის დიზაინის საფუძვლები	სავალდებულო	45/80	5	5		
10	ესთეტიკა	სავალდებულო	60/65	5	5		
11	კოსტუმის ისტორია	სავალდებულო	45/80	5		5	
12	გრაფიკული კომპოზიცია	არჩევითი	45/80	5		5	
13	ფერწერული კომპოზიცია	არჩევითი	45/80	5		5	
14	დეკორატიული ქსოვილის კომპოზიცია	არჩევითი	45/80	5		5	
15	ეთიკა	არჩევითი	45/80	5			5
16	ხელოვნების ფილოსოფია	არჩევითი	45/80	5			5
17	მრავალფიგურიანი კომპოზიცია	არჩევითი	45/80	**5**			5
	სულ			**110**	30	30	30

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————————

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————

თარიღი ——————————————————————————

ფაკულტეტის ბეჭედი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროგრამის დასახელება: კინო-ტელე რეჟისორი - Vocational Educational Program Film-TV Director

პროფესიული განათლების საფეხური: IV საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კინო-ტელე რეჟისორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია- IV Step Film-TV Director.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა: 60 ECTS კრედიტი. პროგრამის სწავლება გრძელდება 30 კვირა (150 სასწავლო დღე). პროგრამის მოცულობა არის 60 კრედიტი. (1500 საათი, აქედან 50% ეთმობა თეორიულ სწავლებას, 50% პრაქტიკას. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მოცულობა ერთ კრედიტში ინდივიდიულაურად არის ასახული სილაბუსებში); IV საფეხურზე პროფესიული სტუდენტი 60 კრედიტის ფარგლებში შეისწავლის 6 სასწავლო კურსს და გაივლის 10 კრედიტის მოცულობის საწარმოო პრაქტიკას. (იხ.დანართი №1). პრაქტიკა - სულ 750 საათი. გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა სტუდია "აბკ"-ში, სადაც სტუდენტები დაესწრებიან რეკლამის გადაღების, მონტაჟისა და გახმოვანების პროცესს. საწარმოო პრაქტიკა-10 კრედიტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტების ჩაბარების საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:
პროგრამა მიზნად ისახავს აღზარდოს პრაქტიკაზე ორიენტირებული პროფესიონალი ტელე-კინო რეჟისორი, რომელსაც ექნება კომპეტენცია იმუშაოს ტელევიზიებში, სარეკლამო სტუდიებში, შექმნას სატელევიზიო გადაცემემები, სარეკლამო და სოციალური კლიპები, შეეძლოს სრულფასოვნად მუშაობა საინფორმაციო ფორმატის გადაცემებზე.

პროგრამა მიზნად ისახავს:

- შედარებით მოკლე დროში მისცეს ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და ტექნიკური უნარ-ჩვევები, რომელიც მას რეალურად გამოადგება კინო-ტელე რეჟისორს სფეროში წარმატებული მუშაობისათვის. მოამზადოს პროფესიონალი, რომელიც შეძლებს ადაპტირებას კინო და ტელეხელოვნების მიმდინარე პროცესებში.
- შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს ტელეჟურნალისტიკისა და პირდაპირი ეთერში გადაცემის გაშვების საფუძვლები, მოამზადოს რეჟისორი, რომელიც შეძლებს დაამყაროს გამართული პროფესიული ურთიერთობა ჟურნალისტებთან.
- შეასწავლოს საოპერატორო ხელოვნების საფუძვლები, რათა მისი ურთიერთობა ოპერატორთან იყოს პროფესიული, ხოლო მომავალში ტექნიკურად გამართული ნამუშევრები შექმნას.

- შეასწავლოს თეორიული სასწავლო კურსები, რომლებიც მისი პროფესიული განვითარებისთვისაა აუცილებელი.
- გამოუმუშაოს პროფესიულ სტუდენტს კინო-ტელე ხელოვნებაში მოღვაწეობისთვის აუცილებელი კომპონენტები
- განუვითაროს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისა და წარმატებული კარიერისათვის.
- შეასწავლოს კინო-ტელე რეჟისურა. რეჟისურის საფუძვლებთან ერთად პრაქტიკულად შეასწავლოს რეკლამის, სტუდიური გადაცემის და სიუჟეტის მომზადება-თემის შერჩევა, კონცეფციის შემუშავება, სცენარის დამუშავება, კადრირება, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, გადაღება, მონტაჟი და გახმოვანება.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულმა იცის ფილმწარმოებისა და სატელევიზიო გადაცემის შექმნის ფაქტობრივი გარემოებები და თეორიული პრინციპები: რეჟისურის საფუძვლები, რეკლამის და სატელევიზიო გადაცემის შექმნისთვის საჭირო ძირითადი კონცეფციები და მეთოდები, ტელეჟურნალისტთან მუშაობა, იცის მსახიობთან და გადაცემის წამყვანთან მუშაობა. მეოთხე საფეხურის დასრულების შედეგად პროფესიულმა სტუდენტმა იცის კინო გადაღების, სატელევიზიო გადაცემის ჩაწერის და პირდაპირ ეთერში გაშვების წესები, კინოსცენარის და სცენარის შექმნის პრინციპები. პროფესიული სტუდენტი აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში სანდო ინფორმაციის წყაროების გამოყენება. შეუძლია სანდო საინფორმაციო სიუჟეტის შექმნა. შეუძლია კინო გადაღების და ტელე ჩაწერის ორგანიზება და მისი ტექნიკურ-შემოქმედებითი მომზადება: ტელეგადაცემის ჩაწერა და ეთერში გაშვება. აქვს რეკლამისა და ტელეგადაცემის შექმნის უნარი. მსახიობთან, ტელეწამყვანთან მუშაობის უნარი. შეუძლია სატელევიზიო შოუში აუდიტორიისა და სხვა მასობრივი სცენების ორგანიზება, მეორე პლანისა და მასიური სცენების მსახიობებთან მუშაობა, სინჯების ჩატარება, დიალოგის აგება, პერსონაჟთან მუშაობა. აქვს მონტაჟითა და აუდიორიგით ტემპორიტმის შექმნის უნარი. კადრირება და კადრის კომპოზიციის აგების უნარი. რეკლამისა, ტელეგადაცემის, სიუჟეტის შექმნისას შესაბამისი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარი. მეოთხე საფეხურის დასრულებითვის პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს შემდეგ ნამუშევრებს: რეკლამა, სატელევიზიო გადაცემა, სიუჟეტი. შესაბამისად პროფესიულმა სტუდენტმა იცის ყველა ეტაპი, რომელიც საჭიროა ამ ნაწარმოებების შესაქმნელად და შეუძლია შეუძლია მიღებული შედეგების შეფასება შესრულებული სამუშაოს გასაუმჯობესებლად.

დასკვნის უნარი

შეუძლია წინასწარდასახული შემოქმედებითი ამოცანის განხორციელების პროცესში წარმოშობილი ტექნიკური და სხვა სახის პრობლემების ამოცნობა და მათ გადასაჭრელად კონკრეტული დასკვნის გაკეთება. შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი. შეუძლია აუდიოვიზუალური რიგის შესაქმნელად ამოიცნოს შესაბამისი მხატვრული და ტექნიკური პრობლემები და ამ პრობლემების გადასაწყვეტად კონკრეტული დასკვნის გაკეთება, მიღებული შემოქმედებითი შედეგის შეფასება და ანალიზი: შეუძლია რეკლამის და ტელეგადაცემის

შესაქმნელად, ყოველ ეტაპზე, მხატვრული და ტექნიკური ამოცანების იდენტიფიცირება და სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე, ახალი აუდიოვიზუალური რიგის (გამოსახულებისა და ხმოვანი რიგის) შესაქმნელად ამ უნარის გამოყენება.

კომუნიკაციის უნარი

აქვს შემოქმედებით და ტექნიკურ პერსონალთან პროფესიული ურთიერთობის უნარი; ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; მის კომპეტენციაში შემავალი დავალების შესაბამისად კონტაქტის დამყარების და შესრულებაზე კონტროლის უნარი. შეუძლია თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით საჭირო პროფესიული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გადაცემა, მათ შორის უცხო ენაზე. შეუძლია კომუნიკაცია დამკვეთთან, მისი ინტერესების გათვალისწინება და შესაბამისი აუდიოვიზუალური რიგის შეთავაზება, ანგარიშის წარდგენა შესრულებულ სამუშაოზე.

სწავლის უნარი

შეუძლია კინოსა და ტელევიზიასთან დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიების და მეთოდების შესწავლა. აქვს უნარი განსაზღვროს სწავლის საჭიროება.საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში; შეუძლია ახალი ნაწარმოებების გაანალიზება, როგორც კინონაწარმოების, ასევე ტელენაწარმოების, მათი მხატვრული და ტექნიკური ინოვაციების შეცნობა.

ღირებულებები

მე-4 საფეხურის რეჟისორი აცნობიერებს მისი თანამონაწილეობით შექმნილი კინო და ტელე ნამუშევრების რეიტინგის მნიშვნელობას. რეკლამის, სიუჟეტის და ტელეგადაცემის შექმნაში აცნობიერებს თავის პროფესიულ როლს და მოქმედებს მის ფარგლებში.აცნობიერებს მისი თანამონაწილეობით შექმნილი ნამუშევრების მნიშვნელობას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და ფასეულობების განმტკიცების საქმეში. მე-4 საფეხურის რეჟისორი დამკვეთთან ურთიერთობისას ითვალისწინებს მის ინტერესებსა და საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმებს. რეკლამის ტელეგადაცემის და სიუჟეტის შექმნისას ხელმძღვანელობს მორალურ-ეთიკური ღირებულებებით, ქმნის ტექნიკურად გამართულ პროდუქციას. აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულება და ცვალებად სიტუაციებში მათ შესაბამისად მოქმედებს.: იცავს ინტელექტუალური და შემოქმედებითი საკუთრების უფლებას. აღვივებს ზოგადჰუმანისტურ იდეალებს. იცავს ტოლერანტობის პრინციპებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა იყენებს ლექციას, პრაქტიკულ მუშაობას, საშინაო დავალებას, შუალედურ შეფასებას, პრეზენტაციას, დასკვნით გამოცდას. სწავლების ფორმატში გამოყენებულია ვერბალური, წიგნზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დემონსტრირების (ნამუშევრის შესრულების სხვა და სხვა ეტაპზე პედაგოგი პრაქტიკულად აჩვენებს სტუდენტს შესრულების ტექნიკურ ხერხებს), პრაქტიკული მეთოდები.

ამავე დროს მოქმედებს სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის მეთოდი.
პრაქტიკული მეთოდები ხორციელდება კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟის, ტელეჟურნალისტიკა და პირდაპირი ეთერის და კინო-ტელე საოპერატორო ხელოვნების სასწავლო კურსების ფარგლებში. აღნიშნული კურსების ფარგლებში ნამუშევრების დამონტაჟება უპირატესად მოხდება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ბაზაზე, (პროგრამის მემონტაჟის სამუშაო ადგილის შესაბამისად), პროფესიული სტუდენტები აგრეთვე დაესწრებიან „ბიზნეს კურიერის“ გადაღების და ეთერში გაშვების პროცესს და პრაქტიკულად შეისწავლიან ყველა ტექნიკურ პროცედურას. საწარმოო პრაქტიკა გულისხმობს არა მხოლოდ სტუდია „აბკ“-ს საწარმოო პროცესზე დასწრებას, არამედ ამ პროცესში ჩართულობას სტუდიის ხელმძღვანელის დავალებების შესაბამისად.

კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი - სასწავლო კურსი ისწავლება 2 ეტაპად და ეთმობა 20 კრედიტი. სწავლება წარმოებს სახელოსნოს პრინციპით. პროფესიული სტუდენტები შეიწავლიან კინო-ტელე რეჟისურის თეორიულ საფუძვლებს და კონკრეტულ საკითხებს პრაქტიკულად განახორციელებენ თავიანთ ნამუშევრებში. მხატვრული ნაწარმოების აგებას, კონცეფციის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიას და მის კინო-ტელე ნაწარმოებად გარდაქმნის მეთოდოლოგიას-კადრირებას, კადრის კომპოზიციის აგებას, პერსონაჟთა ურთიერთობის სისტემის შექმნას, გადაცემის თემის მოძიების, თოქ-შოუს წამყვანის მომზადების, თოქ-შოუს აუდიტორიის მომზადების პრინციპებს, რეკლამისა და თოქ-შოუს გადაღებას. დიდი როლი ენიჭება მონტაჟის შესწავლას. პროფესიული სტუდენტები შეისწავლიან მონტაჟს, როგორც კინო-ტელე ხელოვნების უმნიშვნელოვანეს გამომსახველ საშუალებას. ასევე შეისწავლიან კომპიუტერულ სამონტაჟო პროგრამების საფუძვლებს, გამოიმუშავებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. კინო-ტელე რეჟისურისა და მოტაჟის პრაქტიკულად შესწავლა მოხდება რეკლამის, ტიხრის ან სოციალური კლიპის და სტუდიური გადაცემის შექმნის გზით. პროფესიული სტუდენტები დაწერენ რეკლამის და სტუდიური გადაცემის სცენარს, წარმოადგენენ კადრირებას, მოიძიებენ პერსონაჟებს, შეარჩევენ გადასაღებ ადგილებს და კოსტიუმებს, გადაიღებენ, დაამონტაჟებენ და გაახმოვანებენ რეკლამას ან სოციალურ კლიპს და სატელევიზიო სტუდიურ გადაცემას.

ტელეჟურნალისტიკა და პირდაპირი ეთერი -ამ საგნის შესწავლას ეთმობა 5 კრედიტი. პროფესიული სტუდენტები ჟურნალისტებთან პროფესიული ურთიერთობის დაუფლების მიზნით შეისწავლიან სიუჟეტის შექმნის, მისი გადაღების, მუსიკალური ფონის შერჩევის, საავტორო ტექსტის შექმნის სპეციფიკას. ამ საგანში კრედიტის მისაღებად სტუდენტები წარმოადგენენ სიუჟეტს მათ მიერ არჩეული თემატიკის მიხედვით. წარმოდგენილ სიუჟეტში ასევე აისახება რეჟისურისა და მონტაჟის შესწავლის შედეგებიც.

კინო-ტელე საოპერატორო ხელოვნების ისწავლება 2 ეტაპად და ეთმობა 10 კრედიტი. პროფესიული სტუდენტები შეისწავლიან ფოტო და კინო გადაღების პრინციპებს, ვიდეოკამერით გადაღებას, ვიდეოკამერის ტექნიკური პარამეტრების შესწავლას, პროფესიონალ ოპერატორთან ურთიერთობის ნორმებს, კადრის გადასაღებად ამოცანის ახსნის მეთოდოლოგიას. პროფესიული სტუდენტის მიერ საგნის შესწავლის შედეგი აისახება როგორც პედაგოგის მიცემული დავალებების შესრულებაში, ასევე რეკლამებში, სიუჟეტებსა და სტუდიურ გადაცემაში, რომელთაც ზემოთ ჩამოთვლილი საგნებში კრედიტების მისაღებად იქნება საჭირო.

კინო-ტელე დრამატურგია- 5 კრედიტი. პროფესიული სტუდენტი შეისწავლის კინო და სატელევიზიო ნამუშევრის სცენარის შექმნის ზოგად პრინციპებს. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტები წარმოადგენენ მათ მიერ შექმნილ სატელევიზიო გადაცემის სცენარს, რომელსაც ერთობლივად გადაიღებენ, და რეკლამის სცენარს, რომლის დამუშავებაც კინო-ტელე დრამატურგიის შესწავლის დროს მოხდება და კინო-ტელე რეჟისურის შესწავლისას პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკულად შეიქმნება მეოთხე საფეხურზე სწავლების პერიოდში.

ინგლისური ენა - ამ საგნის შესწავლას ეთმობა 5 კრედიტი. პროფესიული სტუდენტები პრაქტიკულად შეისწავლიან ინგლისურ ენას, რომელიც აუცილებელია მათთვის, როგორც უცხოელებთან პროფესიული კომუნიკაციისთვის, ასევე პროფესიული ინფორმაციის მოსაძიებლად ინგლისურ ენაზე.
კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები: - 5 კრედიტი. ეს საგანი აუცილებელია პროფესიული ინფორმაციის მოძიების, მუდმივი თვითგანვითარებისათვის და სამომავლოდ სამონტაჟო პროგრამების დაუფლებისთვის.
საწარმოო პრაქტიკა- პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას 2 ეტაპად გაივლიან სტუდია" აბკ"-ში. ამ სტუდიაში მრავალი წარმატებული ფილმი, რეკლამა თუ მუსიკალური კლიპია შექმნილი. სტუდია „აბკ"-ში სტუდენტები გაიუმჯობესებენ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს, დაესწრებიან მიმდინარე პროდუქციის შექმნის ყველა ეტაპს.

სწავლების პროცესში პროფესიული სტუდენტები დაგეგმილი სასწავლო პრაქტიკის გარდა, ორივე მხარის სურვილის შემთხვევაში შეძლებენ დაესწრონ და ასისტენტობა გაუწიონ თავიანთი პედაგოგების გადაღების პროცესს. პროფესიული სტუდენტური ნამუშევრების მონტაჟის პედაგოგის, „ბიზნეს კურიერის" მემონტაჟის სამუშაო ადგილის შესაბამისად პროფესიული სტუდენტები დაესწრებიან ამ გადაცემის შექმნის ყველა ეტაპს და ეთერში გაშვების პროცესს.
სწავლების პროცესში პროფესიული სტუდენტები დაესწრებიან ვორქშოფებსა და მასტერკლასებს, რომელთაც სთავაზობენ საერთაშორისო ფესტივალები-„თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი", საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი"და ა.შ. პროფესიული სტუდენტები სწავლების პროცესში ნახავენ და გაანალიზებენ ფილმებს, რეკლამებს, ტელეგადაცემებს, როგორც მაღალი რანგის პროფესიონალების მიერ შექმნილს, ასევე სტუდენტურ ნამუშევრებს.
პროგრამის 60 კრედიტის შესწავლის შედეგად პროფესიული სტუდენტი დიპლომთან ერთად თავისივე ნამუშევრებს წარუდგენს დამსაქმებლებს.

შეფასების სისტემა:
შეფასების სისტემა ასქულიანია (საბოლოო გამოცდის ქულა არ აღემატება 40-ს)
შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. საბოლოო შეფასება უნდა ითვალისწინებდეს: შუალედურ შეფასებას, სხვადასხვა აქტივობებში მიღებულ შეფასებებს, დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

კინო-ტელე რეჟისურასა და მონტაჟში, ტელეჟურნალისტიკასა და პირდაპირ ეთერში და კინო-ტელე საოპერატორო ხელოვნებაში მიღებული ცოდნის შეფასება მოხდება პროფესიული სტუდენტის შექმნილი ნამუშევრების მიხედვით. დავალებები გულისხმობს მიღებული ცოდნის გამოვლენას პროფესიული სტუდენტის აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებში. მე-4 საფეხურის რეჟისორის კვალიფიკაციის დიპლომის მისაღებად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა მიიღოს სასწავლო კრედიტები მის მიერ შესწავლილ საგნებში და წარმოადგინოს შესაბამისი ნამუშევრები:

- რეკლამა, ან სოციალური კლიპი პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეული თემატიკის შესაბამისად.
- სატელევიზიო სიუჟეტი. სიუჟეტი ვიზუალურ კადრებთან ერთად უნდა მოიცავდეს საავტორო ტექსტს და ინტერვიუს კონკრეტულ თემასთან მიმართებაში. პროფესიული სტუდენტი თავად ირჩევს თემას.
- სატელევიზიო გადაცემა-სტუდიური თოქ შოუ. სტუდიური გადაცემის შექმნისას მოხდება ფუნქციების გადანაწილება პროფესიულ სტუდენტებს შორის. ეს ნამუშევარი პროფესიულ სტუდენტებს განსაკუთრებით გამოუმუშავებს კოლექტიური ნაწარმოების შექმნის პრინციპს.

მეოთხე დონის კინო-ტელე სარეჟისორო პროგრამის კურსდამთავრებულის ნამუშევარი შესაძლებელია გახდეს მისი პროფესიული დასაქმების საფუძველი, მათი ნახვის და შეფასების საშუალება ექნებათ დამსაქმებლებს - ტელევიზიებსა და სარეკლამო კომპანიებს, ყველა დაინტერესებულ კომპანიასა და ორგანიზაციას.

სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსები/მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი	×	x	x	x	x	×
ტელეჟურნალისტიკა და პირდაპირი ეთერი	x	×	x	x	x	x
კინო-ტელე საოპერატორო ხელოვნება	x	×	×		x	
კინო-ტელე დრამატურგია	x	x	x		x	x
ინგლისური ენა	x	x		x	x	

კომპიტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები	**x**	**x**	**x**	**x**	**x**	
საწარმოო პრაქტიკა	**x**	**x**	**x**	**x**	**x**	×

სასწავლო გეგმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 30 სასწავლო კვირა. მეცადინეობა წარმოებს ყოველდღე, კვირის გარდა. იხ. დანართი №1

1. კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი - 1 და 2 ეტაპი, 20 კრედიტი.
2. ტელეჟურნალისტიკა და პირდაპირი ეთერი - 5 კრედიტი.
3. კინო-ტელე საოპერატორო ხელოვნება -1 და 2 ეტაპი, 10 კრედიტი.
4. კინო-ტელე დრამატურგია - 5 კრედიტი.
5. ინგლისური ენა - 5 კრედიტი.
6. საინფორმაციო ტექნოლოგიები - 5 კრედიტი.
7. საწარმოო პრაქტიკა - 1 და 2 ეტაპი, 10 კრედიტი.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

- **კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი** - ლელა წიფურია, პროგრამის ხელმძღვანელი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. თეატრმცოდნე და მხატვრული კინოს რეჟისორი, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი. lelatsiphuria@yahoo.com lela.tsiphuria@tsu.ge www.lela.info-tbilisi.com ტელ: ბ. 238 72 39 მობ. 599 65 49 80
  მალხაზ რუსაძე. მაგისტრთან გათანაბრებული 2 ხარისხი: ბიბლიოგრაფი და მხატვრული კინოს რეჟისორი .ტ. 2635 856 ბინა; 599 140 512 მობ; ელ.ფოსტა mrusadze@yahoo.com
- **ტელეჟურნალისტიკა და პირდაპირი ეთერი**-მალხაზ რუსაძე. მაგისტრთან გათანაბრებული 2 ხარისხი: ბიბლიოგრაფი და მხატვრული კინოს რეჟისორი .ტ. 2635 856 ბინა; 599 140 512 მობ; ელ.ფოსტა mrusadze@yahoo.com
- **კინო-ტელე საოპერატორო ხელოვნება:** სილოვან (ბაჩი) სულამანიძე. კინო-ტელე ოპერატორი, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი. ტ. 276 61 98; მობ: 5 99 23 14 55, ელ.ფოსტა: bekicha@meil.ru
  შოთა წერეთელი, კინო-ტელე ოპერატორი.
- **კინო-ტელე დრამატურგია:** თამარ ბართაია. კინოსცენარისტი-მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დოქტორანტი. ტელ: 293 55 77 მობ: 5 99 51 55 91 tamarbartaia@yahoo.com
- **ინგლისური ენა:** ენების ცენტრის ინგლისური ენის მასწავლებელი
- **კომპიტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები: ხაჩიძე მანანა** - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ტელ:.2304689 (სამ.),2630406 (სახლ.), 599 156680, 577 295073 (მობ). ელ.ფოსტა: manana.khachidze@tsu.ge

- **საწარმოო პრაქტიკა:** ნინო ბერელიძე, მაგისტრითან გათანაბრებული ხარისხი- ისტორიკოსი, ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი. ninoberelidze@eqe.ge berelidzenino@yahoo.com mob: 599 94 71 76
- **პროგრამის მემონტაჟე:** ზვიად ნაროზაშვილი - დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, აქვს მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი. ტელეკომპანია რუსთავი 2-ის პროგრამა „ბიზნეს კურიერის" მემონტაჟე. ტელ:231 59 15; მობ: 5 77110003 ელ. ფოსტა: zviki_mtavari@yahoo.com

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ: სასწავლო პროგრამა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სტუდია „აბკ"–ს ბაზაზე, სადაც სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის შექმნილია ყველანაირი პირობა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ემსახურება თეორიული ცოდნის მიცემას. ბიბლიოთეკა აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, ინტერნეტით, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია სასურველი ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობა. კინო-ტელე პროფესიული პროგრამის ტექნიკური ბაზა იძლევა საშუალებას, რომ პროფესიულმა სტუდენტმა გადაიღოს ყველა ის ნამუშევარი, რომელსაც სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს: ციფრული კამერები, შტატივები, მიკროფონები (მიმართული მიკროფონები და ე.წ. პეტლიჩკები), კომპიუტერული სამონტაჟო, 2 DVD, ტელევიზორი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტუდიები და ტელეკომპანიები, სარეკლამო სტუდიები, საზოგადოებრივ ურთიერთობათა, კულტურისა და სხვა დეპარტამენტები, რომლებიც ქმნიან აუდიოვიზუალურ პროდუქციას.

დანართი № 1

IV საფეხური

სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდება	**კრედიტების რაოდენობა**	**საათების განაწილება**					
		ლექცია/სემინარი	**სასწავლო პრაქტიკა**	**შუალედური და საბოლოო შეფასების საათები**	**საკონტაქტო საათები**	**დამოუკიდებელ ი მუშაობის საათები**	**სულ საათების რაოდენობა**
კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი	20	100	330	10	440	60	500
ტელეჟურნალისტიკა და პირდაპირი ეთერი	5	30	50	5	85	40	125
კინო-ტელე საოპერატორო ხელოვნება	10	40	120	10	170	80	250
ინგლისური ენა	5	56		4	60	65	125
კინო-ტელე დრამატურგია	5	50		5	55	70	125
კომპიუტერული უნარ-ჩვევები	5	45		5	50	75	125
საწარმოო პრაქტიკა	10						250
სულ:	60		500				1500

№	საგანი/მოდული	ECTS კრედიტი	დაშვების წინაპირობა	შემოდგომის სემესტრი	გაზაფხულის სემესტრი
1.	კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი 1	10	წინაპირობის გარეშე	10	
2.	კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი 2	10	კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი 1		10
3.	ტელეჟურნალისტიკა და პირდაპირი ეთერი	5	წინაპირობის გარეშე	5	
4.	კინო-ტელე დრამატურგია	5	წინაპირობის გარეშე	5	
5.	კინო-ტელე საოპერატორო ხელოვნება 1	5	წინაპირობის გარეშე	5	
6.	კინო-ტელე საოპერატორო ხელოვნება 2	5	კინო-ტელე საოპერატორო ხელოვნება 1		5
7.	ინგლისური ენა	5	წინაპირობის გარეშე		5
8.	კომპიუტერული უნარ_ჩვევები	5	წინაპირობის გარეშე		5
9.	საწარმოო პრაქტიკა 1	5	წინაპირობის გარეშე	5	
10.	საწარმოო პრაქტიკა 2	5	საწარმოო პრაქტიკა 1		5
სულ		**60**		**30**	**30**

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კინო-ტელე რეჟისორი- Vocational Educational Program Film-TV Director
პროფესიული განათლების საფეხური: V საფეხური -V Step

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კინო-ტელე რეჟისორის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია- V Step Film-TV Director

სწავლების ენა: ქართული
პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი. პროგრამის სწავლება გრძელდება 60 სასწავლო კვირის განმავლობაში (300 სასწავლო დღე). 1 ECTS კრედიტი 25 საათი(საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მოცულობა ერთ კრედიტში ინდივიდიულაურად არის განაწილებული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასახულია სილაბუსებში); 120კრედიტი= 3000 საათს ; აქედან აქედად 50% ეთმობა თეორიულ სწავლებას, 50% პრაქტიკას. (იხ. დანართი № 1). V საფეხურზე პროფესიული სტუდენტი 120 კრედიტის ფარგლებში შეისწავლის 12 სასწავლო კურსს და გაივლის 20 კრედიტის მოცულობის საწარმოო პრაქტიკას. გარდა სასწავლო პრაქტიკისა: გადაღების, მონტაჟის და ხმის ჩაწერისა და ა.შ. გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა სტუდია "აბკ"-ში, სადაც პროფესიული სტუდენტები დაესწრებიან დოკუმენტური ფილმების, მუსიკალური კლიპების და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების გადაღების, მონტაჟისა და გახმოვანების პროცესს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: IV საფეხურის კინო-ტელე რეჟისორის დიპლომი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კინო-ტელე რეჟისორი V საფეხური უნივრსიტეტის მისიის შესაბამისად მიმართულია აღზარდოს კინო-ტელე რეჟისორი, რომლის ნამუშევრებიც ემსახურება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებას, საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასახვას; მიმართულია პიროვნული და პროფესიული განვითარებისაკენ. პროგრამის სწავლება იქნება სტუდენტზე ორიენტირებული და მიმართულია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებისკენ და უწყვეტი განათლების ხელშეწყობისკენ. პროგრამა მიზნად ისახავს აღზარდოს პრაქტიკაზე ორიენტირებული პროფესიონალი ტელე-კინო რეჟისორი, რომელსაც ექნება კომპეტენცია იმუშაოს სახელმწიფო და კერძო ტელევიზიებში, შექმნას ყველა სატელევიზიო ფორმატის კინო-ტელე ნამუშევარი, იმუშაოს კინოსტუდიაში, შექმნას მუსიკალური კლიპები და დასაქმდეს ყველა იმ დაწესებულებაში, რომელიც ფირზე კინო-ტელე ნაწარმოებს ქმნის.
პროფესიულად პროგრამა მიზნად ისახავს:
აღზარდოს პრაქტიკაზე ორიენტირებული კინო-ტელე რეჟისორი, რომელსაც ექნება კინო-ტელე რეჟისურის ყველა დარგში და ყველა ჟანრში მუშაობის კომპეტენცია. შედარებით მოკლე დროში მისცეს ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და ტექნიკური უნარ-ჩვევები, რომელიც სამომავლოდ უზრუნველყოფს მის წარმატებულ მუშაობას კინო-ტელე რეჟისურის სფეროში. მოამზადოს პროფესიონალი, რომელიც ჩართული იქნება კინო-ტელე ხელოვნების მიმდინარე პროცესებში და შექმნის კონცეპტუალურად, ესთეტიურად და პროფესიულად ხარისხიან კინო-ტელე ნაწარმოებს. გამოუმუშაოს უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე კინო-ტელე პროცესებში

ჩართულობისთვის, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისა და წარმატებული კარიერისათვის. კინო-ტელე რეჟისურასთან ერთად შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს ყველა ის კომპონენტი, რომელიც აუცილებელია კინო-ტელე ნაწარმოების - სინთეზური ხელოვნების შესაქმნელად: მსახიობის ოსტატობა, კინო-ტელე მხატვრობა, ხმის ჩაწერა და მონტაჟი და ა.შ; შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს ის თეორიული დისციპლინები, რომლებიც უყალიბებენ მას ესთეტიურ ხედვას; შეასწავლოს წერისა და მეტყველების კულტურა, რათა პროფესიულმა სტუდენტმა გამართულად წარმართოს ვერბალური და წერილობითი ურთიერთობები. საფუძვლიანად შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს კინო-ტელე რეჟისურა. პრაქტიკულად შეასწავლოს დოკუმენტური ფილმის, მუსიკალური კლიპისა და მხატვრული ვიდეოეტიუდის შექმნა; შეასწავლოს კინოდოკუმენტალისტიკის ყველა ჟანრი, რათა აირჩიოს მისთვის საინტერესო თემატიკა და სტილისტიკა. შეასწავლოს დოკუმენტური ფილმის „თრაილერის“ შექმნა; შეასწავლოს მუსიკალური კლიპის შექმნის განსხვავებული მეთოდები; ვიდეოეტიუდის, როგორც მხატვრული ფილმის ნაწილის შექმნა, რათა სამომავლოდ პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს მხატვრული ფილმის ან სერიალის მეორე რეჟისორად მუშაობა. მხატვრული კინოს რეჟისორობის სურვილის შემთხვევაში ვიდეოეტიუდის შესწავლა პროფესიულ სტუდენტს დაეხმარება საკუთარი შესაძლებლობების შეფასებაში და საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების საჭიროების განსაზღვრაში; შეასწავლოს კონცეფციის შემუშავება, სარეჟისორო სცენარის შექმნა, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, სამსახიობო სინჯების ჩატარება, შესაფერისი ტექნიკური პარამეტრების შერჩევა, გადაღება, მონტაჟი, გახმოვანება, მუსიკალური გაფორმების შერჩევაში მონაწილეობის მიღება. შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს კინო-ტელე პროდიუსირების საფუძვლები-პროექტების მომზადება და კინო-ტელე ფესტივალისთვის პაკეტის მომზადება.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება:

V საფეხურის კინო-ტელე სარეჟისორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა იცის კინო-ტელე ხელოვნების – სინთეზური ხელოვნების ყველა კომპონენტის საფუძვლები და იცის თუ როგორ დაამყაროს პროფესიული ურთიერთობა შემოქმედებით ჯგუფთან. იცის საზოგადოებისთვის საჭირო და საინტერესო თემის მოძიება; დრამატურგთან ან დამოუკიდებლად, თემის სცენარად ჩამოყალიბება და ეკრანულ ნაწარმოებად განხორციელება. აქვს კინო-ტელე რეჟისურის ძირითადი კონცეფციებისა და მეთოდების ცოდნა; ათვისებული აქვს კინო-ტელე ნაწარმოების შექმნისთვის საჭირო ფუნდამენტური მეთოდოლოგია. აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, შეუძლია პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების (საზღვრების) გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

აქვს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრით გამოყენების უნარი აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად; შეუძლია ლიტერატურული სცენარის დამუშავება, მისი გარდაქმნა სარეჟისორო სცენარად; შეუძლია მომავალი კინო-ტელე ნაწარმოების პროექტად გარდაქმნა-საკუთარი ფილმის საწარმოო გეგმის შედგენა და ა.შ. შეუძლია მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება-მსახიობების შერჩევა, დეკორაციისა და კოსტიუმების შერჩევა, სათანადო ტექნიკური პარამეტრების შერჩევა და ა.შ. შეუძლია აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა. აქვს: დიალოგის აგების უნარი, მონტაჟითა და აუდიორიგით ტემპორიტმის შექმნის უნარი; დუბლირებისა და სუბტიტრების დადების უნარი; კინო-ტელე პროდუქციის შექმნისას შესაბამისი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარი; შეუძლია დოკუმენტური

ფილმის, ფილმის „თრაილერის“, მუსიკალური კლიპის და მხატვრული ვიდეოეტიუდის შექმნა. შეუძლია მოამზადოს დოკუმენტური ფილმის საფესტივალო პაკეტი და წარადგინოს იგი ფესტივალებზე.

დასკვნის გაკეთების უნარი

აქვს უნარი გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობისა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება; შეუძლია ეკრანული ნაწარმოების მოსამზადებელი, გადაღების, დამონტაჟება-გახმოვანების პროცესში წარმოშობილი პრობლემების გაანალიზება და კვალიფიციური დასკვნის გაკეთება. შეუძლია ტელენაწარმოების წინასწარდასახული ამოცანის შესატყვისი აუდიოვიზუალური რიგის შესაქმნელად ამოიცნოს შესაბამისი მხატვრული და ტექნიკური პრობლემები; შეუძლია კინო-ტელე წარმოების ყოველ ეტაპზე მხატვრული და ტექნიკური ამოცანების იდენტიფიცირება და დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე, ახალი აუდიოვიზუალური რიგის შესაქმნელად ამ უნარის გამოყენება; შეუძლია დროის ორგანიზება და სამუშაოების პრიორიტეტიზაცია. შეუძლია დამკვეთის ინტერესების გათვალისწინება, დასკვნის გაკეთება და კინო-ტელე ნაწარმოებში მისი ასახვა; კონკრეტული კინო-ტელე ნაწარმოების შესაქმნელად, მისი გადაღებისა და ტონირებისათვის საჭირო დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე შესატყვისი ტექნიკური პარამეტრების შერჩევა; კინო-ტელე ნაწარმოების შექმნის შემდგომ, სტანდარტული საპროდიუსერო ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების შემუშავება კინო-ტელე ნაწარმოების რეალიზაციის სტრატეგიისათვის.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია თავისი იდეების და ჩანაფიქრის განსახორციელებლად თანამოაზრეთა და თანამშრომელთა შემოქმედებითი ჯგუფის შეკრება; ურთიერთობა პროდიუსერთან, სცენარისტთან, ოპერატორთან, მხატვართან, შემოქმედებითი და ტექნიკური ჯგუფის სხვა წევრებთან; მათი მუშაობის ხელმძღვანელობა. შეუძლია საკუთარი კინო-ტელე ნაწარმოების შესახებ არსებული ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა როგორც სპეციალისტებისთვის, ასევე მაყურებლისთვის; ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა; კომუნიკაცია როგორც ვერბალურად და წერილობით, ასევე აუდიოვიზუალური ფორმით; კომუნიკაცია დამკვეთთან, დამფინანსებლებთან, პრესასთან, ტელევიზიებთან, ფორუმებთან, ფესტივალებთან, მათთვის საჭირო ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა. შეუძლია კომუნიკაციისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, პროფესიული კომუნიკაციის საშუალებით გადამღებ ჯგუფში ეფექტურად მუშაობა, პასუხისმგებლობის აღება თავის და სხვის შესრულებულ სამუშაოზე.

სწავლის უნარი

აქვს საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრის უნარი. აქვს უნარი მოიძიოს და გამოიყენოს ნებისმიერი ფორმის პროფესიული ინფორმაცია, გაეცნოს ახალ მიმართულებებს, მიღწევებს, კინო-ტელე მიმდინარეობებს, სტილისტიკას, კონცეფციებს, გამოიყენოს ისინი შემოქმედებაში; გაიზიაროს კოლეგების გამოცდილება; გამოიყენოს ბეჭდვითი და ინტერნეტ რესურსები თვალსაწიერის გასაფართოებლად. აქვს უნარი კინო-ტელე რეჟისორის პროფესიის

შესატყვისი ახალი ტექნოლოგიების ათვისების; აქვს უნარი გაეცნოს და სამომავლოდ გამოიყენის ეს ცოდნა თავისი კინო-ტელე ნაწარმოების შესაქმნელად, მიღებული ინფორმაციის თვითგანვითარებისათვის გამოყენების უნარი.

ღირებულებები

აცნობიერებს კინო-ტელე რეჟისურასთან დაკავშირებულ მორალურ, ეთიკურ და სამართლებრივ საკითხებს. აქვს უნარი პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასებისა და სხვებისთვის გაზიარებისა. კინო-ტელე ნაწარმოებში ამკვიდრებს ტოლერანტობას. აცნობიერებს აუდიოვიზუალური ნაწარმოების მნიშვნელოვნებას საზოგადოების ცხოვრებაში. ქმნის ზნეობრივად, კონცეპტუალურად, ესთეტიურად და ტექნიკურად გამართულ პროდუქციას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კინო-ტელე რეჟისორი, V საფეხური კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელია თეორიული კუსების შესწავლა, რომლებიც პროფესიულ სტუდენტს უყალიბებენ ესთეტიურ აზროვნებას, გემოვნებას. ეს კურსები აუცილებელია პროფესიული სტუდენტის განათლებისთვის, რათა მისი ნამუშევრები სამომავლოდ იყოს გამართული როგორც პროფესიულად, ასევე კონცეპტუალურად. პროგრამის ფარგლებში ყველაზე ხშირად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი.

1. **კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი** - სწავლება წარმოებს სახელოსნოს პრინციპით. პროფესიული სტუდენტები შეიწავლიან კინო-ტელე რეჟისურის თეორიულ და კონცეპტუალურ საკითხებს და კონკრეტულ საკითხებს პრაქტიკულად განახორციელებენ თავიანთ ნამუშევრებში. მხატვრული ნაწარმოების აგებას, კონცეფციის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიას და მის კინო-ტელე ნაწარმოებად გარდაქმნის მეთოდოლოგიას. კინო-ტელე რეჟისურისა და მოტაჟის პრაქტიკულად შესწავლა მოხდება დოკუმენტური ფილმის, დოკუმენტური ფილმის „თრაილერის“, მუსიკალური კლიპის და მხატვრული ვიდეოეტიუდის შექმნის გზით. პროფესიული სტუდენტები დაწერენ სცენარებს, შეიმუშავებენ საპროდიუსერო პაკეტს, წარმოადგენენ კადრირებას, სარეჟისორო სცენარს, მოიძიებენ, შეარჩევენ მსახიობებს, შეარჩევენ გადასაღებ ადგილებს და კოსტიუმებს, შესაბამის ტექნიკას, გადაიღებენ, დაამონტაჟებენ და გაახმოვანებენ ნამუშევრებს მათ მიერ არჩეული თემის და ჟანრის შესაბამისად.

2. **პროდიუსირება-** პროფესიული სტუდენტი პრაქტიკულად სწავლობს საპროდიუსერო პაკეტის მომზადებას, კინო-ტელე წარმოების ეტაპებს და ძირითად პრინციპებს, ფილმის საფესტივალო პაკეტის მომზადებას და დისტრიბუციის სტრატეგიას.

3. **მსახიობის ოსტატობა-** პროფესიული სტუდენტები პრაქტიკულად შეისწავლიან ტელეწამყვანთან და მსახიობთან მუშაობის პრინციპს, პრაქტიკულად ეცოდინებათ სამსახიობო ამოცანის სწორად ახსნა, პერსონაჟის შექმნაზე მუშაობა და ა.შ.

4. **კინო-ტელე დრამატურგია-** პროფესიული სტუდენტი შეისწავლის კინო და სატელევიზიო ნამუშევრის სცენარის შექმნის პრინციპებს. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტები წარმოადგენენ მათ მიერ შექმნილ დოკუმენტური ფილმის, მუსიკალური კლიპის და მხატვრული ვიდეოეტიუდის სცენარებს, რომელთა დამუშავებაც კინო-ტელე დრამატურგიის შესწავლის დროს

მოხდება და კინო-ტელე რეჟისურის შესწავლისას პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკულად შეიქმნება მეხუთე საფეხურზე სწავლების პერიოდში.

5. ინგლისური ენა- პროფესიული სტუდენტები შეისწავლიან ინგლისურ ენას, რომელიც აუცილებელია მათთვის როგორც უცხოელებთან პროფესიული კომუნიკაციისთვის, ასევე პროფესიული ინფორმაციის მოსაძიებლად ინგლისურ ენაზე.

6. ხმის ჩაწერა და მონტაჟი- შეასწავლის ხმის დრამატურგიის ძირითად პრინციპებს, ციფრული გახმოვანების მეთოდოლოგიას. ამ კურსის სწავლების პროცესში პროფესიული სტუდენტი პრაქტიკულად გაახმოვანებს თავის სტუდენტურ ფილმს.

7. კინო-ტელე მხატვრობა- პროფესიული სტუდენტები შეისწავლიან ტელევიზიისა და ფილმის სტუდიის შექმნის პრინციპს, კოსტიუმების ესკიზების შექმნის, გრიმის შერჩევის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტები პედაგოგთან ერთად შექმნიან მუსიკალური კლიპის და მხატვრული ვიდეოეტიუდის კადრირებას, შეარჩევენ გადასაღებ ადგილებს და ა.შ.

8. კინოს ისტორია- სასწავლო კურსის შესწავლა მოხდება სალექციო კურსის და სემინარების გზით. პროფესიული სტუდენტები სწავლების პროცესში ნახავენ და გააანალიზებენ როგორც მსოფლიო კინოს, ასევე ქართული კინოს საეტაპო ფილმებს.

9. თეატრის ისტორია- პროფესიული სტუდენტები შეისწავლიან მსოფლიო და ქართული თეატრის განვითარების ძირითად ეტაპებს, გაეცნობიან მსოფლიო დრამატურგიის და სცენოგრაფიის შედევრებს, გააანალიზებენ ნანახ სპექტაკლებს.

10. მსოფლიო ხელოვნების ისტორია- პროფესიული სტუდენტები შეისწავლიან სახვითი ხელოვნების და არქიტექტურის განვითარების ძირითად პერიოდებს და მიმდინარეობებს, მსოფლიო შედევრების რეპროდუქციების ნახვის, ანალიზისა და განსჯის პროცესში ჩამოუყალიბდებათ ესთეტიური ხედვა.

11. ქართული ხელოვნების ისტორია-ლექციებსა და სემინარებზე პროფესიული სტუდენტები შეისწავლიან და გააანალიზებენ ქართული სახვითი ხელოვნების და არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ეტაპებს. პროფესიული სტუდენტები ერთის მხრივ გაეცნობიან რეპროდუქციებს, მეორეს მხრივ კი ნახავენ მუზეუმებში დაცულ ექსპონატებს, სწავლის პერიოდში თბილისში მოწყობილ გამოფენებს, სტუდენტური ექსკურსიების ფარგლებში გაეცნობიან არქიტექტურულ ძეგლებს.

12. წერისა და მეტყველების კულტურა- სასწავლო კურსის ფარგლებში პროფესიული სტუდენტები შეისწავლიან ოფიციალური მიმოწერის მეთოდოლოგიას, შექმნიან დოკუმენტებს და ა.შ. კურსის შესწავლა აუცილებელია მომავალი რეჟისორებისთვის, რათა მათ მომავალში გამართული ვერბალური და წერითი კულტურა ჰქონდეთ, რაც ასე საჭიროა მათი მოღვაწეობისთვის.

13. საწარმოო პრაქტიკა- პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან სტუდია "აბკ"-ში. სტუდიაში მრავალი წარმატებული ფილმი, რეკლამა თუ მუსიკალური კლიპია შექმნილი. პროფესიული სტუდენტები დაესწრებიან დიკუმენტური ფილმის, მუსიკალური ფილმის და მხატვრული ფილმის გადაღების პროცესს. სტუდია „აბკ"-ში პროფესიული სტუდენტები აგრეთვე გაიუმჯობესებენ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს, დაესწრებიან მიმდინარე პროდუქციის შექმნის ყველა ეტაპს, და საჭიროების შემთხვევაში ასისტენტობას გაუწევენ დამდგმელ რეჟისორებს.

სწავლების პროცესში პროფესიული სტუდენტები დაესწრებიან ვორქშოფებსა და მასტერკლასებს, რომელთაც სთავაზობენ საერთაშორისო ფესტივალები-„თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი", საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი", და ა.შ. სტუდენტები სწავლების პროცესში ნახავენ და გაანალიზებენ ფილმებს, რეკლამებს, ტელეგადაცემებს, როგორც მაღალი რანგის პროფესიონალების მიერ შექმნილს, ასევე სტუდენტურ ნამუშევრებს.

ყოველწლიურად პროფესიული სტუდენტები თავიანთ ნამუშევრებს წარუდგენენ თსუ-ს ხელმძღვანელობას, ლექტორებს და სტუდენტებს. მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტურ დღეებში. პროგრამის სტუდენტური ფილმები წარდგენილი იქნება საერთაშორისო სტუდენტურ კინოფესტივალებზე. მოეწყობა სტუდენტური ფილმების ჩვენება კინოს სახლში. ეს ჩვენებები ერთის მხრივ სტუდენტებს პასუხისმგებლობის გრძნობას განუვითარებს მაყურებლის მიმართ და მეორეს მხრივ საზოგადოებას და მომავალ დამსაქმებლებს გააცნობს პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს.

პროგრამის 120 კრედიტის შესწავლის შედეგად პროფესიული სტუდენტი დიპლომთან ერთად თავისივე ნამუშევრებს წარუდგენს დამსაქმებლებს.

ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;
ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

V საფეხურის რეჟისორის კვალიფიკაციის დიპლომის მისაღებად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა მიიღოს სასწავლო კრედიტები მის მიერ შესწავლილ საგნებში და წარმოადგინოს შესაბამისი ნამუშევრები:

- დოკუმენტური ფილმი მის მიერ შერჩეული ჟანრის მიხედვით.
- დოკუმენტური ფილმის „თრაილერი“.
- მუსიკალური ვიდეო კლიპი.
- მხატვრული ვიდეო ეტიუდი.

V საფეხურის კინო-ტელე სარეჟისორო პროგრამის კურსდამთავრებულის ნამუშევარი შესაძლებელია გახდეს მისი პროფესიული დასაქმების საფუძველი, მათი ნახვის და შეფასების საშუალება ექნებათ დამსაქმებლებს-ტელევიზიებსა და სარეკლამო კომპანიებს, ყველა დაინტერესებულ კომპანიასა და ორგანიზაციას.

სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსები/მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი	×	x	x	x	x	×
პროდიუსირება	x	×	x	x	x	x
მსახიობის ოსტატობა	x	×	×	X	x	X
კინო-ტელე დრამატურგია	x	x	x		x	x
ინგლისური ენა	x	x		x	x	
ხმის ჩაწერა და მონტაჟი	x	x		x	x	
კინო-ტელე მხატვრობა	X	X	X	X	X	X
კინოს ისტორია	X		X		X	X
თეატრის ისტორია	X		x		X	X
მსოფლიო ხელოვნების ისტორია	X		X		X	X
ქართული ხელოვნების ისტორია	X		X		X	X
წერისა და მეტყველების კულტურა	X	X	x	x		
საწარმოო პრაქტიკა	x	x	x	x	x	×

სასწავლო გეგმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 60 სასწავლო კვირა. მეცადინეობა წარმოებს ყოველ დღე, კვირის გარდა. (იხ. დანართი №1)

1.კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი-1-2-3-4-ეტაპები, 40 კრედიტი.
2. პროდიუსირება- 5 კრედიტი.
3.მსახიობის ოსტატობა- 1-2 ეტაპები, 10 კრედიტი
4.კინო-ტელე დრამატურგია-5 კრედიტი.
5.ინგლისური ენა-5 კრედიტი.
6.ხმის ჩაწერა და მონტაჟი-5 კრედიტი
7. კინო-ტელე მხატვრობა-5 კრედიტი
8. კინოს ისტორია-5 კრედიტი
9. თეატრის ისტორია-5 კრედიტი

10. მსოფლიო ხელოვნების ისტორია-5 კრედიტი
11. ქართული ხელოვნების ისტორია-5 კრედიტი
12. წერისა და მეტყველების კულტურა-5 კრედიტი
13. საწარმოო პრაქტიკა-1-2-3-4 ეტაპები, 20 კრედიტი.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

- **კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი** - ლელა წიფურია, პროგრამის ხელმძღვანელი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. თეატრმცოდნე და მხატვრული კინოს რეჟისორი, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი. lelatsiphuria@yahoo.com lela.tsiphuria@tsu.ge www.lela.info-tbilisi.com ტელ: ბ. 238 72 39 მობ. 599 65 49 80 მალხაზ რუსაძე. მაგისტრთან გათანაბრებული 2 ხარისხი: ბიბლიოგრაფი და მხატვრული კინოს რეჟისორი .ტ. 2635 856 ბინა; 599 140 512 მობ; ელ.ფოსტა mrusadze@yahoo.com
- **პროდიუსირება** - მამუკა ჩიხრაძე, მაგისტრითან გათანაბრებული ხარისხი ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით. სტუდია „აბკ"-ს გენერალური დირექტორი, 5 77 71 07 08,mamuka_1965@yahoo.com;
- **მსახიობის ოსტატობა**- მანანა კვირკველია, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი დრამის რეჟისორის კვალიფიკაციით, ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი. ტელ: 266 27 77 მობ:5 99 58 35 69; el-fosta: kvirke@yahoo.com
- **კინო-ტელე დრამატურგია:** თამარ ბართაია, კინოსცენარისტი-მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დოქტორანტი. ტელ: 293 55 77 მობ: 5 99 51 55 91 tamarbartaia@yahoo.com
- **ხმის ჩაწერა და მონტაჟი**- ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი. მაგისტთან გათანაბრებული ხარისხები: დამთავრებული აქვს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინომცოდნეობის და საოპერატორო ფაკულტეტები, მიუნჰენის კინო აკადემიის სარეჟისორო და საპროდიუსერო ფაკულტეტები. ტელ: 2526213; მობ: 5 77 78 77 13; ელ-ფოსტა: redcut@web.de;
- **კინო-ტელე მხატვრობა**-მალხაზ კუხაშვილი, მხატვარ-გრაფიკოსის მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი. ტელ: 259.63.60. 599.401.407. ელ-ფოსტა: m_tevzadze@mail.ru;
- **კინოს ისტორია**- ოლიკო ჟღენტი, კინომცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი. ტელ. 233 70 08;5 99 27 18 15; ელ-ფოსტა: olga-Zhgenti @ mail.ru
  არჩილ შუბაშვილი
- **თეატრის ისტორია** - ქეთევან შავგულიძე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, ტელ. 225 25 39; 577 46 10 03; e-mail: ketevan128@mail.ru
- **მსოფლიო ხელოვნების ისტორია** - ირინე კოშორიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი tel: 2325659; mob:577 546462, email: ikoshoridze@yahoo.com
- **ქართული ხელოვნების ისტორია** - ნინო სილაგაძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნ. კანდიდატი. tel.: 233-44-93, 59916-37-67. el-fosta: ninosilagadze@yahoo.com
- **წერისა და მეტყველების კულტურა** - დარეჯან თვალთვაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი. ტელ.:234-62-34 ; 577 54 52 50 ელ-ფოსტა: darejan.tvaltvadze@tsu.ge

- **ინგლისური ენა:** ენების ცენტრის ინგლისური ენის მასწავლებელი
- **საწარმოო პრაქტიკა:** ნინო ბერელიძე, მაგისტრითან გათანაბრებული ხარისხი- ისტორიკოსი, ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი. ninoberelidze@eqe.ge berelidzenino@yahoo.com mob: 599 94 71 76
- **პროგრამის მემონტაჟე:** ზვიად ნაროზაშვილი - დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, აქვს მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი. ტელეკომპანია რუსთავი 2-ის პროგრამა „ბიზნეს კურიერის“ მემონტაჟე. ტელ:231 59 15; მობ: 5 77110003 ელ. ფოსტა: zviki_mtavari@yahoo.com

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ. სასწავლო პროგრამა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სტუდია „აბკ“–ს ბაზაზე, სადაც სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის შექმნილია ყველანაირი პირობა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ემსახურება თეორიული ცოდნის მიცემას. ბიბლიოთეკა აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიებით, ინტერნეტით, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია სასურველი ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობა. კინო-ტელე პროფესიული პროგრამის ტექნიკური ბაზა იძლევა საშუალებას, რომ პროფესიულმა სტუდენტმა გადაიღოს ყველა ის ნამუშევარი, რომელსაც სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს: ციფრული კამერები, შტატივები, მიკროფონები (მიმართული მიკროფონები და ე.წ. პეტლიჩკები), კომპიუტერული სამონტაჟო, 2 DVD, ტელევიზორი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებულს ექნება კინო-ტელე რეჟისურის ყველა დარგში და ყველა ჟანრში მუშაობის კომპეტენცია. V საფეხურის დასრულების შემდეგ კინო-ტელე რეჟისორი შეიძლება დასაქმებული იყოს სახელმწიფო და კერძო კინოსტუდიებში, სახელმწიფო და კერძო ტელევიზიებში, ყველა სტრუქტურაში, რომელიც ფირზე ასახულ აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს ქმნის.

დანართი № 1

V საფეხური

სასწავლო კურსის/მოდულის სახელწოდება	კრედიტების ოდენობა	საათებების განაწილება			საკონტაქტო სათები	დამოუკიდებელი მუშაობის სათები	სულ საათების რაოდენობა
		ლექცია/სემინარი	სასწავლო პრაქტიკა	შუალედური და საბოლოო შეფასების სათები			
კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი 1-2-3-4	40	200	650	20	870	130	1000
პროდიუსირება	5	20	70	5	95	30	125
მსახიობის ოსტატობა 1-2	10	30	140	5	175	75	250
ინგლისური ენა	5	56		4	60	65	125
კინო-ტელე დრამატურგია	5	45		5	50	75	125
ხმის ჩაწერა და მონტაჟი	5	15	70	5	90	35	125
კინო-ტელე მხატვრობა	5	15	70	5	90	35	125
კინოს ისტორია	5	45		20	65	60	125
თეატრის ისტორია	5	42		8	50	75	125
მსოფლიო ხელოვნების ისტორია	5	45		20	65	60	125
ქართული ხელოვნების ისტორია	5	45		20	65	60	125
ქართული წერისა და მეტყველების კულტურა	5	45		5	50	75	125
საწარმოო პრაქტიკა 1-2-3-4	20						**500**
სულ:	**120**		**1000**				**3000**

დანართი № 1 V საფეხური

№	საგანი/მოდული	ECTS კრედიტი	დაშვების წინაპირობა	შემოდგომის/I სემესტრი	გაზაფხულის/II სემესტრი	შემოდგომის/III სემესტრი	გაზაფხულის/IV სემესტრი
1.	კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი 1	10	წინაპირობის გარეშე	10			
2.	კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი 2	10	კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი 1		10		
3.	კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი 3	10	კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი 2			10	
4.	კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი 4	10	კინო-ტელე რეჟისურა და მონტაჟი 3				10
5.	მსახიობის ოსტატობა 1	5	წინაპირობის გარეშე	5			
6.	მსახიობის ოსტატობა 2	5	მსახიობის ოსტატობა 1		5		
6.	მსოფლიო ხელოვნების ისტორია	5	წინაპირობის გარეშე	5			
7.	ინგლისური ენა	5	წინაპირობის გარეშე	5			
8.	ქართული ხელოვნების ისტორია	5	წინაპირობის გარეშე		5		
9.	კინოს ისტორია	5	წინაპირობის გარეშე		5		
10.	კინო-ტელე დრამატურგია	5	წინაპირობის გარეშე			5	
11.	ხმის ჩაწერა და მონტაჟი	5	წინაპირობის გარეშე			5	
12.	კინო-ტელე მხატვრობა	5	წინაპირობის გარეშე			5	
13.	თეატრის ისტორია	5	მსოფლიო ხელოვნების ისტორია				5
14.	პროდუსირება	5	წინაპირობის გარეშე				5
15.	წერისა და მეტყველების კულტურა	5	წინაპირობის გარეშე				5
16.	საწარმოო პრაქტიკა 1	5	წინაპირობის გარეშე	5			
17.	საწარმოო პრაქტიკა 2	5	საწარმოო პრაქტიკა 1		5		
18.	საწარმოო პრაქტიკა 3	5	საწარმოო პრაქტიკა 2			5	
19.	საწარმოო პრაქტიკა 4	5	საწარმოო პრაქტიკა 3				5
სულ		**120**		**30**	**30**	**30**	**30**

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი